შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№50 (9.615)

30 დეკემბერი–4 იანვარი 2013 წელი

ფასი: 1 ლარი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ძვირფასო დედოფლისწყაროელები, ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს!

2013 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. დედოფლისწყაროს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 40 მილიონი ლარი დაიხარჯა, გაკეთდა გზის ის მონაკვეთები, რომლის რეაბილიტაციაზეც ხალხს ოცნებაც არ შეეძლო. შიდა გზებთან ერთად სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ქედების ზონაში, მილიონ 250 ათასი ლარი გამოიყო საგზაო დეპარტამენტის მიერ მდინარე ალაზნის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხელისუფლება საზღვრების დაცვაზეც აქტიურად ზრუნავს.- მოგეხსენებათ, მდინარე ალაზანი ტრანსსასაზღვრო მდინარეა და კალაპოტის ცვლილება დედოფლისწყაროს ტერიტორიის საკუთრებაში არსებული 200 ჰექტარი მიწის -კაკლისყურეს დაკარგვის საშიშროებას ქმნის. წელს ეს პრობლემა მთლიანად მოგვარდა. ამას ემატება ის მილიონ ორასი ათასი ლარი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა დედოფლისწყაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის. ეს თანხები გაცილებით მეტია, ვიდრე წინა ხელისუფლების პირობებში 9 წლის განმავლობაში დახარჯული თანხა...

ჩვენი მიზანი იყო და არის, რომ თითოეულ დედოფლისწყაროელს თავი ეგრძნო ღირსეულ ადამიანად, პიროვნებად, საკუთარი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ, ვისზეც სახელმწიფო ზრუნავს. წინა წელს არაერთხელ, დედოფლისწყაროს გამგეობისა და წითელი ჯვრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ჰუმანიტარული აქციები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა უამრავი ადამიანის უფასო სამედიცინო გამოკვლევა. ასეთი ძვირადღირებული სამედიცინო კვლევები საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მოსახლეობისთვის ეს აქციები სასიცოცხლო მნიშვნელობის ხასიათს ატარებდა.

2013 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა საქართველოში პირველმა გააუქმა საბავშვო ბაღებში გადასახადი,სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა მათ, ასევე რამდენიმე ახალი ბაღიც შეემატა ჩვენს რაიონს. გარემონტდა 9 საჯარო სკოლა, უფასო სახელმძღვანელოები დაურიგდათ მოსწავლეებს, ნოუთბუქები მიიღეს პირველკლასელებმა.

მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვნად გაზარდა ბიუჯეტში მოსახლეობის სოციალური დახმარების პაკეტი ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიის ხარჯზე, კერძოდ, თუ წინა წლებში სათბობი საშუალებებისთვის თანხას 450 ოჯახი ღებულობდა, წელს 750 ოჯახს გაეწია დახმარება.

2013წელს სოფლის მეურნეობის ფონდის დაფინანსებით განხორციელებულმა პროგრამამ დადებითი შედეგი გამოიღო. სასოფლო-სამეურნეო ბარათების წყალობით წლობით მიტოვებულ ნაკვეთებს ხალხი დაუბრუნდა. წელს დამუშავებული მიწების რაოდენობა 9 000 ჰექტარით გაიზარდა, რაც იმისი წინაპირობაა, რომ მომავალ წელს გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა დამუშავდება და სოფლის მეურნეობაც, როგორც ტრადიციული დარგი, კვლავ პრიორიტეტული გახდება.

წინა წელს ჩვენს რაიონში უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობდა, რამაც ყველა ჩვენს მოქალაქეს დაუბრუნა იმისი განცდა, რომ დედოფლისწყარო აღარაა მიტოვებული რაიონი და არც დედოფლისწყაროელები. მიტოვებული სოფლების მოსახლეობამაც უკვე იგრძნო, რომ ხელისუფლება მათზე ზრუნავს. შირაქის დასახლებაში 35 წლიანი უშუქობის შემდეგ თანამედროვე ჰელიო სისტემა დამონტაჟდა, რისი მეშვეობითაც მოსახლეობა 24 საათიან რეჟიმში მიიღებს ელექტროენერგიას.

გზებთან ერთად სოფლებში ახალი წყალმომარაგების სისტემა მონტაჟდება, შენდება ქარხნები, რაც ახლო მომავალში ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის, დასაქმების პერსპექტივა კი ქალაქიდან რეგიონებში უკან დააბრუნებს მოსახლეობას და მიგრაციის დონესაც მნიშვნელოვნად შეამცირებს. ქვეყნის და დედოფლისწყაროს წინსვლა და ეკონომიკური აღმავლობა კი იმისი გარანტია, რომ მომავალი თაობა თავისი ოცნებების რეალიზებას უკეთესად შეძლებს.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით, დედოფლისწყაროელებო, იმედი მაქვს, მომავალი წელი გაცილებით ნაყოფიერი იქნება.

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,
კახეთის გუბერნატორი

თანამემამულეებო, გილოცავთ ახალ 2014 წელს. გასული წელი წარმატებული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. უამრავი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.საქართველო ერთმნიშვნელოვნად დაადგა ეკონომიკური განვითარებისა და აღმშენებლობის გზას. დედოფლისწყაროში წლების განმავლობაში სასიკეთო არაფერი ხდებოდა,მაგრამ "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. არ დავიწყებ იმ პროექტების ჩამოთვლას,რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში განახორციელა,რადგან ყველაფერი ისედაც ნათელია. მესმის,რომ სიკეთემ ჯერაც ვერ შეაღწია ყველა ოჯახში,კიდევ ბევრია დასაპურებელი და ასაშენებელი,მაგრამ პირადად მე და ჩემი კოლეგები ძალისხმევას არ დავიშურებთ,რათა განვითარების ტემპები იყოს მაქსიმალურად სწრაფი და თითოეულმა მოქალაქემ თავი წარმატებული ქვეყნის წარმატებულ შვილად იგრძნოს. დედოფლისწყაროელებო, წინსვლა გრძელდება! მიგულეთ თქვენი საწუხარისა და სიხარულის თანამოზიარედ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2014 წელს.

პატივისცემით,
ალექსანდრე თამაზაშვილი,
პარლამენტის წევრი

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, ყველას გილოცავთ შობა—ახალ წელს!

საქართველოს უკვე ათეული წლებია, რთულ დროში უწევს ცხოვრება. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მშვიდობიანმა ცვლილებამ ქვეყნის დემოკრატიული სახელმწიფოს ისტორიაში დადებითი და საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, თუმცა, მოსახლეობას კვლავ მრავალი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და უმუშევრობის დამარცხება. ხალხის ერთ—ერთ მთავარ მოთხოვნას კი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა წარმოადგენს, რომელიც ქვეყანაში თითოეულ ადამიანს სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის განცდას დაუბრუნებს.

საქართველოს მსგავსად, დედოფლისწყაროსაც აწუხებს ბევრი პრობლემა. ზოგიერთ სოფელში კვლავ დგას სასმელი წყლისა და ბუნებრივი აირის პრობლემა. ჩვენი, ადგილობრივი ხელისუფლების მიზანია, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ყველა მოქალაქისთვის, თუმცა, ამისთვის გარკვეული დროა საჭირო. და კიდევ, ურთიერთნდობა და ურთიერთპატივისცემა. ეს ფაქტორი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საერთო მიზნის მიღწევას, რომელსაც დედოფლისწყაროელების კეთილდღეობა ჰქვია.

მრავალ შობა—ახალ წელს დაესწარით, 2014 წელი თქვენი სურვილების და ოცნებების ახდენის წელი ყოფილიყოს!

პატივისცემით,
ლევან ნატროშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
გივი გიგაური,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მე მინდა მქონდეს ჩემი სახლი...

გვ. 4

2014 წელს ბევრი მასშტაბური პროექტი განხორციელდება



გვ. 3

წლის ამბები დედოფლის წყაროში

გვ. 2

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2014 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

საახალწლო ტრადიციები საქართველოში

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი - კვალი ანგელოზისა! ნელი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა, ბარაქისა, სიყვარულისა, გამრავლებისა! ღმერთმა დაგლოცოთ კაც-დიაცით, თქვენი შვილებით, აკვნების სიმრავლით, პურ-ღვინის დაძველებით, ზვარ-ყანების სიდიდით, ცხვარ-ძროხის სიმრავლით, კარგი სტუმრითა და ყველა მოკეთით! მრავალ ახალ ნელს!" საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მიუხედავად საახალწლო ტრადიციების მრავალფეროვნებისა, თითქმის ყველგან ასე ულოცავს მეკვლე ახალ წელს ოჯახს. მეკვლე - ზოგან მას მეფეხეს, მეფეხურსაც უწოდებენ - ის ადამიანია, რომელიც ახალი წლის დადგომის შემდეგ პირველი შეაღებს ოჯახის კარს. მეკვლეობის ტრადიცია საქართველოში ოდითგანვე არსებობდა და მას ერთხანს საკრალურ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ სწორედ პირველი სტუმრის ფეხზე იყო დამოკიდებული მომავალი წლის ავკარგიანობა.

ქართლ -კახეთი

აღმოსავლეთ საქართველოში ახალი წლის წინა დღით ოჯახში აუცილებლად მოიტანდნენ წყაროს უმძრახ წყალს და ეზოში მოასხამდნენ. მეკვლე ოჯახის უფროსი ან მოწვეული სტუმარი იყო, რომელიც ახალი წლის დადგომის შემდეგ ოჯახში ხელდამშვენებული შედიოდა: მიჰქონდა დედას პურები, ყველი, ხორცი, ღვინო, გოზინაყი, ხილი, ჩურჩხელა და მარცვლეული. ზოგჯერ ცოცხალი ქათამიც მიჰყავდა. გადაბიჯებდა თუ არა მეკვლე ზღურბლს, მიმოაბნევდა ხორბლის, სიმინდის ან ქერის მარცვალს, რათა ახალი წელი ხვავიანი და ბარაქიანი ყოფილიყო.

იმერეთი

მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროსს ევალებოდა, ხორაგით სავსე ხონჩით სამჯერ წაღმა შემოევლო სახლისთვის და უფლისთვის გამრავლება, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა ეთხოვა. ხონჩაზე ღორის თავი, მწვადი, მოხარშული დედალი, ხაჭაპური, ლობიანი, ღერღილის პური და ტკბილი კვერები ელაგა. სახლისთვის სამჯერ შემოვლის შემდეგ ოჯახის უფროსი კერიაში შედიოდა ოჯახის ყველაზე ხნიერ წევრთან ერთად, რომელიც მოგიზგიზე კუნძს რამდენჯერმე დაჰკრავდა ჯოხს და აშლილ ნაპერწკლებს ასეთ ლოცვას დაადევნებდა: ამდენი ოქრო ჩვენს ოჯახში, ამდენი პური და ღვინო, ამდენი მარილი, ამდენი ძროხა, ამდენი ქათამი; დაე, ეს წელი ამ ნაპერწკლებივით უხვი იყოსო.

გურია

კალანდობა - ასე უწოდებდნენ გურიაში შობა-ახალ წელს. კალანდობა დეკემბრის ბოლოს იწყებოდა, იკვლებოდა ღორი, ცხვებოდა გურული კვერები ყველითა და კვერცხით, ნაზუქები, მზადდებოდა კუპატი და საცივი. კალანდობის მთავარი ატრიბუტი კი ჩიჩილაკი იყო, რომელიც აუცილებლად უნდა მორთულიყო. ახალი წლის მილოცვა აქაც ოჯახის უფროსის პრეროგატივა გახლდათ. ახალი წლის დადგომისთანავე იგი ჯერ მარანსა და საბძელს მოინახულებდა, შემდეგ შევიდოდა სახლში, წითელი ღვინით და დალოცავდა ქვეყანასა და ოჯახს. ახალი წლის ღამეს გურიაში მეალილოეები დადიოდნენ და მღეროდნენ, აგროვებდნენ ტკბილეულს, ფულსა და ხილს.

სამეგრელო

სამეგრელოში თხილისგან გამოთლილ ჩიჩილაკს ბამბითა და სათამაშოებით რთავდნენ, მის სიახლოვეს კი აუცილებლად ეწყო ხილი და ტკბილეული, მოხარშული გოგრა, ხაჭაპური, ფელამუში და ღვინო. სამეგრელოში მეკვლეს - მეკუჩხურს - დიდი სიფრთხილით წინასწარ ირჩევდნენ და ოჯახიც საგულდაგულოდ ემზადებოდა მის დასახვედრად.

რაჭა

"გფარავდეთ მრავალძალის წმინდა გიორგი! შეგეწიოთ ყოვლადწმინდა ხოტევი და ნიკორწმინდა! აგარა და უღეში, ღმერთმა მოგცეთ ნუგეში", - ამ სიტყვებით ლოცავდა რაჭაში მეფეხე ოჯახს. თუ წინა წელს მის ფეხს ოჯახი კარგად დასცდიდა, მას კიდევ სამი წლით ირჩევდნენ. ამ სამი წლის განმავლობაში მეკვლე ოჯახს პირველი მიულოცავდა ახალი წლის დადგომას ღვინის დოქით, მოხარშული ლორით, შემწვარი წიწილით, ვაშლში ჩარჭობილი ხურდა ფულით, ჩიჩილაკითა და სანთლით ხელში; დალოცავდა ოჯახს, საბძელს, ნალიას, მერე კი იწყებოდა ლხინი. რაჭულ საახალწლო სუფრას ამშვენებდა ლობიანები, ღვინო, ლორი, თაფლი, კაკალი, ტყლაპი, ჩირი და ვაშლი.

ლეჩხუმი

აქ ახალი წლის შემობრძანებას ოჯახის უფროსი გობით ხელში ელოდა. ლეჩხუმში ბაბუა მიიჩნეოდა მეკვლედ. დადგებოდა თუ არა ახალი წელი, იგი ღვინით სავსე დოქით ხელში უმცროს ვაჟთან ერთად გავიდოდა ვენახში, სადაც ჯერ თავად ლოცავდა ზვრებს, შემდეგ პატარას დაალოცვინებდა; მოაპკურებდნენ იქაურობას ღვინოს, მერე მივიდოდნენ ბეღელთან, ნალიასთან, ჭურებთან, ამის შემდეგ შედიოდნენ სადგომში (სახლში) და ლოცავდნენ გვარს.

სვანეთი

სვანეთში განსაკუთრებით ერიდებოდნენ ახალი წლის წინა დღეებში სტუმრად სიარულს, კლავდნენ საახალწლოდ გასუქებულ ღორს, რომელსაც მეისარაი ერქვა, აცხობდნენ პურებს ჯვრების გამოსახულებით და ტკბილ კვერებს. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მეფეხეს ღამე გარეთ უნდა გაეთია, რათა ოჯახში განნმენდილი შესულიყო და კარგი ფეხი შეეტანა. ოჯახის უფროსს აქაც თავისი საქმე ჰქონდა: ალიონზე უნდა ამდგარიყო, საქონლისთვის მიეხედა, მერე კი სანთლებით ხელში შესულიყო შინ და ოჯახი დაელოცა.

წლის ამბები დედოფლისწყაროში

უჩვეულო ინციდენტით დაიწყო გასული წელი დედოფლისწყაროში. იანვრის დასაწყისში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის მოძღვარს მამა გაბრიელ ბენიაიძეს სხეულის დაზიანებები მაშინ მიაყენა, როცა სასულიერო პირი ჩხუბის დროს მამაკაცების გაშველებას ცდილობდა.

ძიმე მდგომარეობაში მყოფი მამა გაბრიელი კატასტროფის ცენტრმა დედოფლისწყაროდან თბილისში გადაიყვანა. მოძღვარს რამდენიმე რთული ოპერაცია ჩაუტარდა და მისი გადარჩენა მოხერხდა.

დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველომ მამა გაბრიელის სხეულის განზრახ დაზიანების ფაქტზე სოფელ არხილოსკალოს მკვიდრი, 49 წლის გიორგი დავითური დააკავა. ეჭვმიტანილი დაკავების მომენტში ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დედოფლისწყარო პირველი მუნიციპალიტეტი იყო, სადაც საბავშვო ბაღები უფასო გახდა. იმჟამინდელი გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

გასული წლის დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსი ივანე ზურაბაშვილი გიორგი ბუბუნაურმა შეცვალა.

დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქს" ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის გადაწყვეტილებით „სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლის" წოდება მიენიჭა.

7 თებერვალს დედოფლისწყაროს საავადმყოფოში 5 თვის ჩვილი გარდაიცვალა. დედოფლისწყაროს მთავარი ექიმი ხათუნა ზურიკაშვილი ამბობს, რომ ახალშობილი კლინიკაში მიყვანიდან 3-4 წუთში გარდაიცვალა. მედიკოსების განმარტებით, ახალშობილი სოფელ კასრისწყლიდან გადმოიყვანეს, ის ასაკთან შედარებით განვითარებასაც ჩამორჩა.

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპატრამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელ ილია ნატროშვილზე უფლებამოსილების გადამეტების, თაღლითობისა და ქურდობის ბრალდებით ძებნა 2013 წლის თებერვლიდან გამოცხადდა. სისხლის სამართლის საქმე 177-ე, 333-ე და 180-ე მუხლის მეორე ნაწილითა აღიძრა.

გათავისუფლების შემდეგ კუდ-ის თანამშრომელმა ღია წერილი გაავრცელა, სადაც ილია ნატროშვილი თამაზაშვილისა და ღარიბაშვილის ოჯახებს ბოდიშს უხდის.

„ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში მე ძალოვან სტრუქტურებში ვმუშაობდი. ამ სტრუქტურას თავისი შინაგანაწესი და პრინციპები აქვს, ასევე დაწერილი და დაუწერელი კანონები, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მისმა მუშაკმა... მეც ამ სისტემის მსხვერპლი აღმოვჩნდი და ბევრჯერ მომიწია ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ წასვლა. ზურაბ ადეიშვილი პირადად იძლეოდა ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა ემოქმედა ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს. წინასაარჩევნო პერიოდში ჩემზე განსაკუთრებით დიდი ზეწოლა იყო — რადგან დედოფლისწყაროელი ვიყავი, არავის სჯეროდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ წავიდოდი. ამიტომ ხშირად მიბარებდნენ ზედა ინსტანციებში და სხვადასხვა სახის დავალებებს მაძლევდნენ.

ამის გამო დღემდე მქენჯნის სინდისი და სიძულვილი მამოძრავებს ქვეყნის პრეზიდენტის, ვანო მერაბიშვილის, ლალიაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების მიმართ, ვინც ამ სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი და ჩაგვადინინეს ის ცოდვები, რომლებიც რამდენად მოგვეტევება, ჯერ არ ვიცით... ჩემი სურვილის წინააღმდეგ მომიწია წასვლა წინასაარჩევნო პერიოდის დროსაც, როცა „ნაციონალური მოძრაობა" ღიად ებრძოდა „ქართულ ოცნებას".

მინდა, ამ წერილის საშუალებით მოვინანიო ის ცოდვა, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ ჩამიდენია, განსაკუთრებით ეს ეხება ბატონ თამაზ თამაზაშვილს. მინდა, მას და მთელ მის ოჯახს საჯაროდ მოვუხადო ბოდიში იმ ტკივილისთვის, რაც მათ წინასარჩევნო პერიოდში დაუმსახურებლად გადაიტანეს," — ნათქვამია ილია ნატროშვილის მიმართვაში.

ქიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა და შს სამინისტროს აკადემიის პრორექტორმა ლუკა კურტანიძემ „ნაცმოძრაობიდან" დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის ზაზა კედელაშვილის დასჯა მოითხოვა. მისი თქმით, თავად, როგორც შსს-ს წარმომადგენელი, კედელაშვილის დასასჯელად ყველა ზომას მიმართავს. „კედელაშვილი ბიბლიოთეკასთან 8 თებერვლის აქციაზე იქცეოდა როგორც პროფესიონალი ზონდერი. იგი მანამდეც იყო „ნაციონალების" ზონდერი, ჰყავდა რამდენიმე ზონდერჯგუფი და მონაწილეობდა აქციების დარბევაში. ახლა კი პარლამენტის წევრია და ისევ ზონდერობას აგრძელებს," - აცხადებდა კურტანიძე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებულ ერთადერთ ნაგავსაყრელზე, რომელიც მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულს ემსახურება, გაწმენდითი სამუშაოები პირველად ჩატარდა.

მარტის თვეში დედოფლისწყარომ ნიკო ფიროსმანის ორიგინალები დიდი ძალისხმევის შემდეგ დაიბრუნა. გაძლიერებული დაცვის თანხლებით სამი ნამუშევარი სიღნაღიდან კვლავაც დედოფლისწყაროში, სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს.

სამდღიანი საძიებო სამუშაოების შემდეგ დაკარგული მესაზღვრის ცხედარს მიაგნეს. მაშველებმა გვამი 17:00 სათისთვის იპოვეს. სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს მე-7 სექტორის თანამშრომელი 30 წლის ალეკო მინდიაშვილი 23 აპრილს საღამოს გაუჩინარდა. უბედური შემთხვევა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს მონაკვეთზე მოხდა.

ქედების ზონამ ფოლკლორის საღამოს უმასპინძლა. ზემო ქედის კულტურის სახლის სცენა მრავალწლიანი პაუზის შემდეგ კიდევ ერთხელ განათდა და ფერადი ნათურებით გაფორმდა, სადაც ქართული ხალხური პოეზიის საღამო „ლექსო, ამოგთქომ ოხერო" გაიმართა.

მასშტაბური ღონისძიება ქედელი მოლექსეების ხსოვნას მიეძღვნა, ცნობილია, რომ ეს სოფლები შემოქმედი ადამიანების სიმრავლით გამოირჩევა.

ქვემო ქედი-არხილოსკალოს რვაკილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტი არქეოლოგებისთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების მსვლელობისას, სანიაღვრე წყალგამტარის მონტაჟის დროს, მინის საფარის ქვეშ უძველეს საყოფაცხოვრებო ნივთებსა და ადამიანის ძვლებს მიაკვლიეს.

6 მაისს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე ირაკლი ღარიბაშვილი დედოფლისწყაროს ეწვია. ის საღმრთო ლიტურგიას მეუღლესთან ერთად დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაესწრო.

7 მაისს უბედური შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში. თხევადი აირის ავზის აფეთქებას 40 წლამდე ასაკის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. აფეთქება მაშინ მოხდა, როცა სოსო ბილონაშვილი გაზის ანთებას ცდილობდა.

ამავე პერიოდში კიდევ ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. დაკარგული მესაზღვრის ცხედარს სამდღიანი საძიებო სამუშაოების შემდეგ მიაგნეს. მაშველებმა გვამი 17:00 სათისთვის იპოვეს. სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს მე-7 სექტორის თანამშრომელი 30 წლის ალეკო მინდიაშვილი 23 აპრილს საღამოს გაუჩინარდა. უბედური შემთხვევა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს მონაკვეთზე მოხდა.

დედოფლისწყაროს პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე 1981 წელს დაბადებული მამაკაცი ნარკოდანაშაულისათვის დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში დააკავეს. პირადი ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნედლი მცენარეული მასა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია „ოპიუმი"—ს შემცველი 2 კილო და 374 გრ დამაძინებელი ყაყაჩო.

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ ზაქარია ჭ. დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ივნისის თვეში ირაკლი შიოლაშვილი კახეთის მუნიციპალიტეტების გამგებლებთან ერთად პოლონეთში 5 დღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტი საინვესტიციო ხასიათის ატარებდა და კახეთის განვითარების ფონდმა დააფინანსა. ქალაქ ზეშოვოში, კახეთიდან ჩასული გამგებლები ოფიციალურ პირებს, ქალაქის მმართველს და ბიზნესმენებს შეხვდნენ. 15 ივნისს დედოფლისწყაროს გამგებელი და ამჟამად კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა მის ყოფილ თანამშრომელზე თამარ შაფათავაზე იქორწინა. შაფათავა ფინანსთა სამინისტროში მუშაობის დროს შიოლაშვილის თანამშრომელი იყო.

დედოფლისწყაროელმა მეხანძრეებმა სტაჟირება პოლონეთში გაიარეს.

1 აგვისტოს დედოფლისწყაროს ცენტრში, ღია ცის ქვეშ მასშტაბური ღონისძიება გაიმართა, ამავე დღეს დაწესდა „დედოფლისწყაროობა", რომელიც ტრადიციულად ყოველი წლის 1 აგვისტოს აღინიშნება. ამავე დღეს გამოვლინდება საპატიო დედოფლისწყაროელები და დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები.

აგვისტოში ეკლესიის ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. სოფელ სამრეკლოს სერაფიმეს სახელობის ეკლესიის შესაწირი ყუთიდან 55 ლარი გვიან ღამით მოიპარეს. ფაქტზე დაკავებულია 7 შვილიანი ხელმოკლე ოჯახის წევრი, მათ საკუთარი სახლი არ აქვთ და სოფლის აბანოს შენობას აფარებენ თავს. დაკავებულმა მოპარული თნხით პური და ძეხვი შეიძინა, დანარჩენი თანხა კი არ დაუხარჯავს. მოგვიანებით, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიამ, რომელიც საქმეში დაზარალებულად ცნეს, სამართალდამცველებს დაკავებულის გათავისუფლება და სულიერი აღზრდისთვის მისი ეკლესიისთვის გადაცემა მოითხოვეს, თუმცა სიღნაღის პროკურატურა მიიჩნევს, რომ დაკავებულის ოჯახი შეღავათებს არ საჭიროებს.

ზაფხულში ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟი იყო სოფელ სამთაწყაროში, თითქოს, ადგილობრივ მუსლიმებს ლოცვის საშუალება არ ეძლეობა, თუმცა სულ მალე ხმაური შეწყდა და დაძაბულობამ ქვეყნის სხვა რეგიონებშიც იჩინა თავი.

ამავე პერიოდში მრევლის უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ნიკოლოზ ლომსაძე სოფელ სამთაწყაროში გადაიყვანეს. ფაქტით უკმაყოფილო მოსახლეობა მეუფე მელქისედეკ ხაჩიძეს დაუპირისპირდა და პროტესტის ნიშნად ლოცვაზე დასწრებაზე უარი თქვა.

ოქტომბრის თვეში საპრეზიდენტო არჩევნებზე დედოფლისწყაროს ოლქის ამომრჩეველმა ახალ ხელისუფლებას უპრეცენდენტო მხარდაჭერა გამოუცხადა, ქვეყნის მასშტაბით დედოფლისწყარო 80%-იანი მხარდაჭერით მეორე ადგილზე გავიდა.

ილია მარტყოფლიშვილი

2014 წელს ბევრი მასშტაბური პროექტი განხორციელდება

მინი დოსიე:

გივი გიგაური 1968 წლის 2 დეკემბერს ქ. დედოფლისწყაროში დაიბადა. დაამთავრა გოგებაშვილის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ფაკულტეტი (1988-93წწ). 1995-1997 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის აზია-აფრიკის კათედრაზე მაძიებლად. უნივერსიტეტში პერიოდულად გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სტატია.

ბოლო წლებში ეწეოდა კერძო ფერმერულ მეურნეობას. 2012 წლის 3 დეკემბრიდან დაინიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ, სოფლის მეურნეობის დარგში, ხოლო მიმდინარე წლის 17 დეკემბრიდან დედოფლისწყაროს გამგებლის მოვალეობას ასრულებს.

ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.

როგორი იყო გასული წელი დედოფლისწყაროსთვის - რა შეიცვალა რიგითი მოქალაქეებისთვის, რა იყო დედოფლისწყაროელების ოცნება ჯერ 50 პროცენტიანი, მოგვიანებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე კი 80%-იანი მხარდაჭერისას და ადგილობრივ დონეზე რამდენად ამართლებს ხელისუფლება ამომრჩევლის იმედებს, რა პრიორიტეტები დაისახა დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანომ, რა პროექტების განხორციელებას გეგმავს გამგეობა 2014 წელს და როგორ გადანაწილდა ახალი ბიუჯეტი,

ბიუჯეტის რა ნაწილი მოხმარდება საჯარო მოხელეების ხელფასებსა და პრემიებს, რამდენად პრინციპული და დამოუკიდებელი იქნება დედოფლისწყაროს ახალი გამგებელი საკუთარ გადაწყვეტილებებში?გაზეთ „შირაქის“ კითხვებს დედოფლისწყაროს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გივი გიგაური პასუხობს.

- გქონდათ თუ არა სურვილი, რაიონის გამგებლის სავარძელი დაგეკავებინათ?

- საუბრის დასაწყისში მინდა შობა-ახალი წელი მოგილოცოთ. სიმართლე გითხრათ, არც იგეგმებოდა და სურვილი ნამდვილად არ მქონია, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი გუბერნატორად გადაიყვანა, ასე დაემთხვა

- მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია მედიაში ვმუშაობ, ამ დრომდე არ გიცნობდით, ასპარეზზე არ ჩანდით, რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში ჩართულიყავით?

- მანამდე ფერმერულ მეურნეობას ვეწეოდი და პოლიტიკაში არ ვერეოდი, თითქმის არსად ვჩანდი. მიზეზი ის გაუსაძლისი და მძიმე ვითარება გახდა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველა მოქალაქეს ავალდებულებდა ხმა აემაღლებინა ამ უსამართლობის მიმართ და საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა. აუცილებელი იყო დროული ცვლილებები, სწორედ ამ მიზნით და მისწრაფებებით გასული წლის ზაფხულში პოლიტიკაში ჩავერთე.

- მხოლოდ ქვეყანაში არსებულ უსამართლობაზე გქონდათ პრეტენზია, თუ თქვენზეც იყო რაიმე სახის ზეწოლა?

- არა, ვერ გავიხსენებ, რომ პირადად ჩემზე ან ჩემს ოჯახზე რაიმე წნეხი ყოფილიყო. პროტესტის გრძნობა მხოლოდ ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით გამიჩნდა.

- თუმცა, ბევრს საუბრობენ, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე კუდ-ის ადგილობრივი თანამშრომლები თქვენი ფერმერული მეურნეობებით ინტერესდებოდნენ, ზეწოლას ახდენდნენ და ქონების წარმომავლობას აქტიურად იკვლევდნენ. ამას ზეწოლის სახე არ ჰქონია?

- ზეწოლის სახე ვერც ექნებოდა, იმიტომ, რომ ქონება, რაც ჩემს ოჯახს გააჩნია, ყველანაირად მოწესრიგებული და იურიდიულად გამართული მაქვს, ასე რომ ვერაფერს ნახავდნენ. თუ არ ჩავთვლით უამრავ ჯარიმებს, რომელსაც ავტომობილის მართვისას მიწერდნენ და გადაჭარბებით ხშირად მაჩერებდნენ. ასევე ზეწოლის მიზნით სხვადასხვა სახის სატელეფონო ზარებს, ადგილობრივ კუდ-თან სხვა სახის ურთიერთობა არ მქონია.

- რატომ „ქართული ოცნება“?

- რატომ ავირჩიე ეს პოლიტიკური ძალა ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ მოკლედ გეტყვით. ის სიბრძნე, ის სწორი პოლიტიკური კურსი მხოლოდ ამ კოალიციას გააჩნდა. მხოლოდ ამ პოლიტიკურ ძალას შეეძლო მონსტრის დამარცხება. ეს მთელმა ქვეყანამ დაინახა და ყველამ მიიღო ასეთი სწორი გადაწყვეტილება და გავერთიანდით „ქართული ოცნების“ გარშემო.

- თქვენს ადგილს ვინ დაიკავებს მოადგილის პოსტზე?

- ეს კანდიდატურა ჯერჯერობით უცნობია, ამიტომ, ვერ დავასახელებ.

- სხვა სახის საკადრო ცვლილებებს თუ გეგმავთ გამგეობაში?

- ჯერჯერობით, ალბათ, არ განხორციელდება ცვლილებები. ვფიქრობ შენარჩუნებული იქნება, რადგან, ეს გუნდი საკმაოდ ქმედუნარიანი და შეკრული აღმოჩნდა.

- დეკემბრის თვეში დედოფლისწყაროს გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს კონკურსი უნდა გაევლოთ...

- რამდენადაც ვიცი, ცვლილება შევიდა და კონკურსი სავარაუდოდ, მომავალ წელს ჩატარდება.

- რამდენად მკაცრი და მომთხოვნი იქნებით თანამშრომლების მიმართ?

- ირაკლი შიოლაშვილმა ამ ერთი წლის მანძილზე შეძლო ირგვლივ ისეთი ადამიანების შემოეკრიბა, რომ ნაყოფიერად იმუშავონ. თუმცა იყო რამდენიმე ცვლილება, სწორედ სოფლის რწმუნებულებთან დაკავშირებით, ვინც ვერ შეძლო, პროცესს გამოეთიშა.

- რას გეგმავთ მოქალაქეთა მიღების დღეებთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ თქვენმა წინამორბედმა მიღების დღე გააუქმა და მოქალაქეებს გამგებელთან შესვლა ნებისმიერ დროს შეეძლოთ. ამავე რეჟიმში გაგრძელდება, თუ ცვლილებას გეგმავთ?

- ბატონმა ირაკლიმ ისეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომ ცხადია მისასალმებელია. მთელმა გუნდმა ანალოგიურად უნდა გაითვალისწინოს. აუცილებლად მისაბაძია ეს და კვლავ ყოველდღიურ რეჟიმში გვექნება მიღება და ყურადღებით ვუპასუხებთ, როგორც მოქალაქეთა შეკითხვებს, ისე შენიშვნებს.

- შეშის პრობლემა საკმაოდ აქტუალურია...

- საზღვრისპირა სოფელ საბათლოში ვიმყოფებოდით, გამოვყავით გარკვეული რაოდენობის ტყეკაფი, რომლითაც მოსახლეობის დაკმაყოფილებას შევძლებთ. დანარჩენი დეტალები ადგილობრივ მაცხოვრებლებს ავუხსენით. ტერიტორიულად ახლოს, ჩვენივე მუნიციპალიტეტში გამოვნახეთ იმის საშუალება, რომ შეშა მოიმარაგონ. ზოგადად, ტყეკაფი გამოყოფილი გვაქვს ყვარელში, გურჯაანსა და ლაგოდეხში. ანალოგიური ვითარება იყო ქედების ზონასა და სამთაწყაროფიროსმანშიც. წელს ასე თუ ისე მოვაგვარეთ ეს პრობლემა. თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ სამომავლოდ ამ სოფლების გაზიფიცირება მოხერხდეს, რაც მოსახლეობას დიდ პრობლემას მოუხსნის. ამ დღეებში, ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელი ბიძინა გიორგობიანი ადგილზე იმყოფებოდა და პრობლემები ერთობლივად განვიხილეთ. ასევე, ალტერნატიულ გზებსაც ვეძებთ...

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა გვაქვს, რომლებიც შეშის დახმარებას იღებენ. დაახლოებით 700 ოჯახზეა საუბარი. იანვრიდან ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი აუცილებლად დაკმაყოფილდება შეშით.

- გასულ წლებში, დედოფლისწყაროში პრემია წელიწადში 4-ჯერ გაიცემოდა, რაც კახეთის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. თქვენ რა მიდგომა გაქვთ პრემიებთან დაკავშირებით?

- ნამდვილად გადაჭარბებული მგონია ეს რიცხვი. საჯარო მოხელეების წახალისება უნდა ხდებოდეს, მაგრამ არა ამდენად. პრემიების დამსახურების მიხედვით გაცემაც მართებულ ფორმად მეჩვენება.

- რა შეიცვალა რიგითი დედოფლისწყაროელებისთვის 2013 წელს?

- მართლაც, 2013 წელი უხვი და ნაყოფიერი გამოდგა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. წლის დასაწყისში, რომელსაც საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამა დაიწყო. ვერავინ გაიხსენებს, რომ ასე მასშტაბური მხარდაჭერა აქამდე ყოფილიყო. ამ პროგრამამ საშუალება მისცა გლეხს, რომ წლობით დაუმუშავებელი მიწისთვის მიეხედათ და მოსავალი მიეღოთ. დამეთანხმებით, რომ საკმაოდ სოლიდური დახმარება იყო. ასევე ამოქმედდა „იაფი კრედიტები“.

- საწარმოების ამოქმდების კუთხით რა ნაბიჯები გადაიდგა დედოფლისწყაროში?

- ეკონომიკის სამინისტროში იანვარშივე გავგზავნეთ ის პრიორიტეტები, რაც დედოფლისწყაროს წაადგებოდა. ფერმერებთან შეხვედრების შემდეგ განვსაზღვრეთ, რომელი გადამამუშავებელი საწარმოები წაადგებოდა დედოფლისწყაროს. შემდეგ იმ ფერმერებმა, რომლებსაც ამ მხრივ გამოცდილებაც გააჩნიაც და სურვილიც, სწორედ „იაფი აგროკრედიტების“ მეშვეობით დაიწყეს საშვილიშვილო საქმე - საწარმოების მშენებლობა. სოფელ გამარჯვებაში, ძველ იავარქმნილ ტერიტორიაზე აშენდა ხორცის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც მთლიანად ადგილობრივი მოახლეობის საქონლით მომარაგდება და გლეხს ბაზარი ადგილზე ექნება. ასევე, მოეწყო რძის საწარმოები, სასაწყობე მეურნეობები, იგეგმება ღვინის ქარხნის მშენებლობა ალაზნისპირა სოფლებში.

- რამდენად გამჭვირვალე იქნება თქვენი მუშაობა, მედიასთან ურთიერთობის კუთხით ისეთივე აქტიური იქნებით, როგორც მანამდე?

- თქვენ კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება მედიასთან. აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას როგორც რადიო „ჰერეთის“ სტუდიაში, პირდაპირ ეთერში მიმდინარე თოქშოუებში, ასევე „ობიექტივის“ გადაცემებშიც. ასე გაგრძელდება, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ხელმძღვანელი პირისთვის აუცილებელია, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობა მედიის გამოყენებით ბევრად იოლი და მასშტაბურია.

- მომავალ წელს რა შეიძლება გაკეთდეს დედოფლისწყაროში მასშტაბური პროექტების კუთხით?

- მოგეხსენებათ, სოფელ ოზაანთან ჩამოდის გედიქის ხევი და მიუხედავად იმისა, რომ აქ წყლის დიდი მარაგია. უნდა ითქვას ისიც, რომ საკმაოდ დიდ სოფელს, ზემო მაჩხაანს, წყალმომარაგების პრობლემა კვლავაც მტკივნეულად უდგას. წყალსაქაჩის მეშვეობით გადავჭრით ამ პროექტს. მილიონიან პროექტად წოდებულია ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტი, რის დასრულების შემდეგაც მაჩხაანელებს მრავალწლიანი პრობლემა მოუგვარდებათ და სოფელი ამოისუნთქებს. არა მხოლოდ მაჩხაანს, ეს პროექტი ხუთ სოფელს მოუხსნის პრობლემას.

- ხშირად ისმის კითხვა „ქოჩების ტბის“ რეაბილიტაციას მოახდენს თუ არა ახალი ხელისუფლება...

- აუცილებლად... თუმცა, კონკრეტულად ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. ხშირად გვისაუბრია და ბევრს ვფიქრობთ ამაზე. გვინდა, რომ პროცესი დაიძრას.

- ბოლო კითხვა მინდა დაგისვათ, რა ვადით დარჩებით გამგებლის მოადგილედ და გეგმავთ თუ არა გამგებლის კონკურსში მონაწილეობას?

- სავარაუდოდ, მოვალეობის შესრულება თვითმმართველობის არჩევნებამდე მომიწევს, დანარჩენ დეტალებს მომავალი გვიჩვენებს.

ილია მარტყოფლიშვილი

ნაცარქექია და საახალწლო განწყობა სკოლა „ბენაურში“

საახალწლო ზეიმით დახურა სკოლა ბენაურმა 2013-2014 წლის პირველი სემესტრი, კლასი, სადაც მათ სპეციალურად მომზადებული კონცერტი უნდა წარმოედგინათ, ულამაზესად იყო მორთული, ფიფქები და თეთრი ფერის ბუშტები ორმაგად აძლიერებდა საახალწლო განწყობას. აქ ძირითადად დაწყებითი კლასის მოსწავლეები აქტიურობდნენ, ღონისძიებას ჰყავდა ყველასთვის ცნობილი ზღაპრების გმირები, - ფიფქია და შვიდი ჯუჯა, ფერიები და კონკია, დევი და ნაცარქექია. მოსწავლეებმა სწორედ ამ ზღაპრების ინსცენირება წარმოგვიდგინეს. მათვე წარმოთქვეს ზამთრის თემასთან დაკავშირებული ლექსები და შეასრულეს საახალწლო სიმღერები. განსაკუთრებული ოვაციები გამოიწვია სკოლა ბენაურის მეექვსე კლასის მოსწავლე გოგონების მიერ შესრულებულმა ბოშურმა ცეკვამ და სიმღერამ. სკოლის ერთ-ერთ კლასში გამართულ საზეიმო ცერემონიას მშობლები, მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ. დასასრულს სკოლის პედაგოგებმა კიდევ ერთხელ მიულოცეს მოსწავლეებს ახალი წლის მოახლოება და უსურვეს, რომ 2014 წელი მათთვის წინსვლის და უამრავი საინტერესო პროგრამის განხორციელების წელი ყოფილიყოს.

ლალი მეხრიშვილი.

მე მინდა მქონდეს ჩემი სახლი...

„ყოველი ადამიანის სული ბუნებით მოწოდებულია ცხონებისაკენ და მიწიერი ცხოვრების მანძილზე მთელი თავისი არსებით მიელტვის სიკეთეს, ყველგან ცდილობს შეკრიბოს, მოიხვეჭოს სიკეთე.“ ამ დევიზით წარსდგნენ ხორნაბუჯის რუსულ-ქართული საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის მოსწავლეები კახეთის ბაისუბნის „ჩემი სახლის“ აღსაზრდელების წინაშე.

სამოქალაქო განათლების კლუბი,რომელსაც ისტორიის მასწავლებელი მარიკა პოპიაშვილი ხელმძღვანელობს, კარგა ხანია ფუნქციონირებს სკოლაში.სკოლის დირექტორის ლალი მენთეშაშვილის აქტიური მხარდაჭერით კლუბის წევრები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ინოვაციურ პროექტებში და გამარჯვების შემთხვევებში, მოზიდულ თანხებს სკოლის კეთილმოწყობას ახმარენ.ასე გაკეთდა სკოლაში რადიო ხაზი, სკოლის შენობაში კი საპირფარეშო და ა.შ.

ამჯერად, სამოქალაქო განათლების კლუბის წევრმა მასწავლებლებმა და მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასის მოსწავლეებმა: ანა თითილოკაშვილმა, მარიამ ყველაშვილმა, ლელა გონაშვილმა, მარი მაზმანოვმა, მარი ნასრაშვილმა, ლიკა გიგოლაშვილმა, კარალინა ავაქიანმა, გიორგი ალადაშვილმა, დიანა ტოროსიანმა, იოანე კობაიძემ და მაიკო ბიკაშვილმა საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტეს წინასაახალწლოდ მოეწყოთ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია ბაისუბნის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის. შეაგროვეს თანხა, შეიძინეს ტკბილეული, საჩუქრები,მოაგროვეს ტანსაცმელი. მათ ამ ინიციატივას გამოეხმაურა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და 9 წვილი ზამთრის ფეხსაცმელი შეუძინეს ბავშვებს. 25 დეკემბერს კი გამგებელმა გივი გიგაურმა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყო ჯგუფი და პირადად გააცილა ისინი კეთილი საქმის საკეთებლად.

ბაისუბნის მცირე საოჯახო ტიპის სახლი უკვე ორი წელია ფუნქციონირებს. იგი პოლონური მოდელის მიხედვით აშენდა და ათ აღსაზრდელზეა გათვლილი. მისი მუშაობის პრინციპი კი მდგომარეობს შემდეგში: ერთი ან ორი ბავშვის მიჯაჭვულობა ერთ აღმზრდელზე. სახლის ლიდერია გამოცდილი სოც-აგენტი მაკო ბარბაქაძე. იგი წლების მანძილზე მუშაობდა მსგავსი ტიპის სახლების უფრო დიდ ინსტიტუციებში, დიდ კონტიგენტთან და ახლა დაგროვილ გამოცდილებას ახმარს ამჟამად მასზე მინდობილ ამ ცხრა აღსაზრდელს.

ორსართულიანი აგურის შენობა მაღალი სტანდარტებით არის გარემონტებული და ავეჯით მოწყობილი. აქ მცხოვრებ თითოეულ ბავშვს ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ თავი ოჯახურ გარემოში იგრძნოს. ისინი ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან. მათ მზრუნველობას არ აკლებს როგორც ჯანდაცვის სამინისტრო, ასევე მათი პროვაიდერი ორგანიზაცია - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი“აფხაზეთი''. ბავშვები ძირითადად სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ან ოჯახის განკარგვას უნარმოკლებული მშობლების შვილები არიან.

ამ დღეს ისინი მოუთმენლად ელოდნენ მათთან სტუმრად ჩასულ ხორნაბუჯის რუსულ-ქართული სკოლის მოსწავლეებს.აქტიურად მიიღეს მონაწილეობა სტუმრების მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში, იმღერეს, იცეკვეს. თავიდან თითქოს საკუთარ სამყაროში ჩაკეტილები, სრულიად გაიხსნენ და ადვილად კონტაქტურები გახდნენ.როდესაც ჯერი საჩუქრების გადაცემაზე მიდგა, მათი სახეები მთლიანად ბრწყინავდა და უდიდეს მადლიერებასაც გამოხატავდნენ.

მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, უცხო თვალიც ადვილად შეამჩნევდა, რომ თითოეულს თვალი კარისკენ გაურბოდა. წინა დღეს ხომ არდა

დეგები დაიწყო და დედებს ელოდებოდნენ. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში რამდენჯერმე შემოიხედა აღმზრდელმა და დაიძახა:... წამოდი, დედა მოგვიდა!...

მათ სახეზე ამოიკითხავდით, რომ მიუხედავად იმ დიდი მზრუნველობისა, რასაც მათზე „ჩემი სახლის“ აღმზრდელები ეწევიან, გული მაინც იქით მიუწევთ,სადაც, თუნდაც ნაკლებად გამოხატული, მაგრამ მაინც თავიანთი ბიოლოგიური სითბო და სიყვარული ელოდებათ. თითოეული მათგანის „რას ინატრებდიშიც“ ხომ ასე ამოიკითხავთ:“ მე მინდა მქონდეს ჩემი სახლი და კვადროციკლი“, „მე მინდა მქონდეს დიდი და ლამაზი სახლი და ბევრი სათამაშო“, „მე მინდა მქონდეს ჩემი სახლი და მე, დედა, მამა და ჩემი და-ძმა ვცხოვრობდეთ ყველა ერთად“... დაე, თითოეულ მათგანს ახდენოდეს ეს ოცნება და ჩვენს ქვეყანას დაუდგეს დრო,როდესაც ბავშვთა სახლების საჭიროება აღარ იქნება და ყველა პატარას ექნება საშუალება, საკუთარ სახლში, მშობლების მზრუნველობით და სიყვარულით გაიზარდოს.

ელზა ხარაშვილი

დღეს ზეიმია ახალი წლის

საახალწლო ზეიმი გაიმართა დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღში, სადაც 3-4 წლიანთა ჯგუფის ოცდაცხრა აღსაზრდელი საკონცერტო ნომრებით თამარ ალადაშვილმა და შორენა ალუღიშვილმა წარმოგვიდგინეს. ჩოხიანი ბიჭუნები და თეთრ კაბებში გამოწყობილი გოგონები, ასეთი გახლდათ მათი საახალწლო ზეიმის ფორმა, რასაც ვერცხლისფერი გირლიანდები და საახალწლოდ ბაღში დადგმული უზარმაზარი ნაძვის ხე ნამდვილ საახალწლო ელფერს აძლევდა. მართალია, მცირენლოვან ბავშვებსი პედაგოგებს ძალიან გაუჭირდათ შემუშავებული პროგრამის სრულყოფილად წარმოდგენა, რადგან ბავშვების უმეტესობამ სცენაზე გამოსვლა „იუკადრისეს“ და ატირდნენ, მაგრამ ძირითადი მისია, რომ მათ მეხსიერებაში საახალწლო განცდები შემოიჭრას და ეს ემოცია მეხსიერებაში ჩარჩეთ, მაინც შესრულდა. ლექსებს ამბობდნენ ანი, მარი, ლიზი, ნინი,ერეკლე, გიორგი, პაატა. მერე ნაძვისხესაც შემოურბინეს და თოვლისპაპასაც დაუძახეს, რომელმაც აღნიშნა, რომ შორი გზიდან, დათოვლილი მთებიდან მოდიოდა და ძალიან დაიღალა, წვერი სულ დაეთოვლა, თუმცა ბავშვები მაინც არ დააღალატა და საჩუქრები მაინც მოუტანა მათ. სინამდვილეში ამ ლამაზი საახალწლო საჩუქრების ავტორი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი და მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის გახლდათ, რომელიც ამ ზეიმს ესწრებოდა კიდეც და პატარების სიხარულს მთელი გულით ინაწილებდა.

საახალწლო საჩუქრები სკოლამდელი და სკოლისგერეშე სააღმზრდელო ცენტრისგან ყველა ბაღმა და ბაღში მოსიარულე ბავშვმა მიიღო. ხოლო, ის ბავშვები, რომლებიც ჩარიცხულები არიან ბაგა-ბაღებში და სხვადასხვა მიზეზების გამო ამჯერად ვერ დადიან ბაღებში, მათთვის და საჯარო სკოლების პირველ, მეორე და მესამე კლასების მოსწავლეებისთვის დასარიგებელი საჩუქრები მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ხელმძღვანელობამ კულტურის სამინისტროსგან მიიღო და ახალ სპორტულ დარბაზში გამართულ „ბასტი- ბუბუს“ ღონისძიებაზე დაურიგა ბავშვებს. სჩუქრებითავის მხრივ ყველა მშობელმა გამოხატა მადლიერება მაია ყოჩიაშვილის მიმართ, იმ დიდი ყურადღებისთვის და სიკეთისთვის, რაც მან ბავშვებისთვის გააკეთა და ამავე დროს ბაღის პედაგოგებისადმი, თამარ ალადაშვილის და შორენა ალუღიშვილის მიმართ, რომლებიც მთელი წლის მანძილზე ძალიან დიდ ენერგიას ხარჯავენ იმისთვის, რომ მათი შვილები საკადრის პირობებში ამყოფონ და სათანადოდ აღზარდონ.

რამდენიმე დღეში ამავე ბაღში 4-5 წლიან(პედაგოგები თამარ ლომსაძე და ირმა ხოზეურაშვილი) და 5-6 წლიან(პედაგოგები მაია გაგნიაშვილი და მარინე ჯორკოშვილი) ბავშვთა ჯგუფებშიც ჩაატარეს წინასაახალწლო ღონისძიება, სადაც ასევე მზფრად შეიგრძნობოდა ახალ წელტან დაკავშირებული განცდები და საზეიმო განწყობა. ამით პედაგოგები პატარებს 2014 წლის 13 იანვრამდე დაემშვიდობნენ.13 იანვარს კი ამ ბაგა-ბაღში სწავლე ჩვეული რიტმით აღდგება.

ლალი მეხრიშვილი

სპორტულ დარბაზში „ასტი-ბუბუს“ საახალწლო ზეიმი გაიმართა

27 დეკემბერს კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ახალ სპორტულ დარბაზში საახალწლო ღონისძიება გამართეს დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულმა „ბასტი-ბუბუს" ანსამბლის ბავშვებმა(ხელმძღვანელი ნონა ჯიბღაშვილი). ღონისძიება თავად ანსამბლის ხელმძღვანელს ნონა ჯიბღაშვილს მიჰყავდა. მსახიობური ნიჭით დაჯილდოვებული „ბასტი- ბუბუ" ბავშვები მცდელობას არ იკლებდნენ, რომ ლამაზად და ლაღად წარმოეცინათ თავი. ისინი არაჩვეულებრივად ასრულებდნენ სასცენო ნომრებს. ღონისძიებას ჰყავდა თავისი მეკვლე და წითელქუდა, მერი პოპინსი, თოჯინები და ევროპელი გოგონები. პატარებმა იცოდნენ, რომ ცხენის წელიწადი მოდის და მალე სცენაზე ცხენზე ამხედრებული პატარა ბიჭუნებიც გამოჩნდნენ, რასაც შესაფერისი სიმღერაც მოჰყვა. აქვე გახლდნენ ჯამბაზები, რომლებმაც ცელქი ონავრობით და ხტუნვით არე-მარე აიკლეს. ღონისძიება გაალამაზა მალვინა ისმაილოვას შესრულებულმა სიმღერებმა. არაჩვეულებრივი საღამო, სადაც ჩვენი რაიონის პატარებმა ბევრი იმხიარულეს, თოვლის პაპის საჩუქრების დარიგებით დასრულდა. საჩუქრები კი, მათთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგერეშე სააღმზრდელო ცენტრის და საქართველოს კულტურის სამინისტოს მიერ იქნა გამოგზავნილი. -„აღნიშნული საახალწლო რონისძიება ძირითადად იმ ბავშვებისთვის ჩატარდა, ვინც ბაგა-ბაღებში ჩარიცხულია, მაგრამ ბაღებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ამჯერად ვერ დადიან ბაღებში. სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ საჩუქრები დავარიგეთ იმ ბავშვებზე, ვინც ბაღებში აქტიურად დადიოდნენ. მათ კი, ვინც ირიცხებოდნენ ბაღში, მაგრამ ვერ დადიოდნენ, კულტურის სამინისტროს საჩუქრები შეხვდათ, კულტურის სამინისტოს საჩუქრები დაურიგდათ ასევე პირველი, მეორე და მესამე კლასის მოსწავლეებსაც. ამ ყველაფრის ორგანიზებაში კი, დიდი ძალისხმევა ჩადეს რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გიგაურმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ნატროშვილმა, ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ნინო ბახუტაშვილს, რომელმაც დაგვითმო სპორტული დარბაზი და ეს ლამაზი ღონისძიება მოაწყო ბავშვებისთვის."-აღნიშნა ჩვენთან საუბარში სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა მაია ყოჩიაშვილმა და ყველა პატარას კიდევ ერთხელ მიულოცა დამდეგი ახალი წელი. მანვე აღნიშნა, რომ წელს ბაგა-ბაღებისთვის გააკეთა მაქსიმუმი, რაც შეიძლებოდა, -„წელს გავაკეთე ის მაქსიმუმი, რითაც კი შეიძლებოდა, რომ პატარების საკვები მენიუ გამეუმჯობესებინა, მომავალი წლისთვის ამ კარგ მენიუსთან ერთად სიახლეა, ისიც, რომ ბაღის მენიუში ხილი შევიტანე, რაც ჩემი დიდი სურვილი იყო წინა წელსვე განმეხორციელებინა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოვახერხე."

ღონისძიების დამთავრების შემდეგ საჩუქრებით ხელდამშვენებული ბავშვები და მშობლები კმაყოფილებას გამოხატავდნენ ამ საზეიმო განწყობის შექმნისთვის და საჩუქრებისთვის, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ასეთი ლამაზი და საჩუქრებით სავსე ახალი წელი არასოდეს ჰქონიათ. ბასტი -ბუბუს ბავშვთა სტუდია კი, დედოფლისწყაროს პატარებს 7 იანვრამდე, შობის დღესასწაულამდე დაემშვიდობა. აქვე აღნიშნეს, რომ შობის დილას პირველ საათზე საზეიმო მსვლელობა მოეწყობა, სადაც ისინი კვლავ შეხვდებიან და შობა-ახალწელიწადს მიულოცავენ სათნოების სახლის ბინადართ.

ღონისძიებას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

ლალი მეხრიშვილი

ინტელექტუალთა ფინალური შეხვედრა

ზონებს შორის ჩატარებული ტურების შედეგად, გამარჯვებული სამი გუნდის გუნდის ფინალური შეხვედრა გამართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტულ დარბაზში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა. ამჯერად ინტელექტუალური პაექრობა დედოფლისწაყაროს პირველ საჯარო სკოლის ანუ- „პეს"-ს(პირველი ელეგანტური სკოლა), გამარჯვების საჯარო სკოლის- „გამარჯვებას" და ქვემო ქედის საჯარო სკოლის „ვვვ" (სამი ვე) გუნდებს შორის გაიმართა. შეჯიბრი სამ ტურიანი გახლდათ, პირველ ტურში ათი ქულით ლიდერობდა პირველი საჯარო სკოლა, 6 ქულით გამარჯვების საჯარო სკოლა, ხოლო ხუთი ქულა მიიღო ქვემო ქედის საჯარო სკოლამ, ამის მიუხედავად იღბლიანი და წარმატებული აღმოჩნდა მეორე ტური ქვემო ქედის საჯარო სკოლისთვის, რომელმაც მეორე ტურში ათი ქულა მოიპოვა, აქ რვა ქულა აიღო „პეს"-მა, ხოლო 3 ქულა „გამარჯვებამ", მესამე და ბოლო ტურში წარმატებით გამოვიდა გამარჯვების საჯარო სკოლა ცხრა ქულით, რვა ქულა მოიპოვა პირველმა სკოლამ, ხოლო ხუთი ქულა ქვემო ქედის „ვვვ" -მ მიიღო, საბოლოო შედეგებით გამარჯვება დედოფლისწყაროს საჯარო სკოლა„პეს"-მა ოცდაექვსი ქულით მოიპოვა. ოცდაერთი ქულით მეორე ადგილზე გავიდა ქვემო ქედის საჯარო სკოლა, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა გამარჯვების საჯარო სკოლის გუნდი.

გარდა ჯგუფური შეჯიბრებისა ზონალურ ტურებშიც და ფინალურ შეხვედრაზეც წარიმართა სკოლებს შორის ინდივიდუალური შეჯიბრებაც, რომელსაც თავად სკოლების გუნდი თავად ასახელებდა. ინდივიდუალური შეჯიბრებების დროს ზოგადი განათლების მაღალი დონის გამომჟღავნებით გამოიკვეთა ასევე სამი ლიდერი არხილოსკალოს მოსწავლე თამთა თინაშვილი, რომელმაც ხუთი კითხვიდან ოთხს სორად გასცა პასუხი, არბოშიკელმა ამირან ბატიაშვილმა და სამრეკლოს საჯარო სკოლის მოსწავლემ ნიკა ძმანაშვილმა, რომელმაც ხუთი კითხვიდან ხუთივეს სწორად გასცა პასუხი. შესარჩევ ტურებში ჟიურის სიმპათია გახდა ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლე გოგა წიკლაური. ხოლო ამჯერად, ფინალურ შეხვედრაზე ჟიურის სიმპათია გახდა ქვემო ქედის გუნდის წევრი დავით მარაული, რომელმაც ძალიან კარგი პროკლამატორობით წაიკითხა ლექსი „ჩქარი მატარებელი".

ფინალური ტურის ჟიურის წევრები გახლდნენ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე ვეფხია ნატროშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე აკაკი ნატროშვილი,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტი ლია ნატროშვილი,ხოლო ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ თავად მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ქალბატონი ირმა ბენაშვილი. ღონისძიება მიჰყავდა არაერთი ამგვარი ღონისძიების მონაწილესა და წამყვანს, ღვაწლმოსილ ქალბატონს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის უფროს სპეციალისტს თამარ ლაპიაშვილს.

რაც შეეხება დაჯილდოვებას, პირველ ადგილზე გასული გუნდის ყველა წევრი დაჯილდოვდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამაგიდე გერბით,ხოლო კაპიტანს გადაეცა მოოქროვილი მედალი დედოფლისწყაროს გერბის გამოსახულებით. მოოქროვილი მედლით დაჯილდოვდა ასევე ინდივიდუალურ ფინალურ შეხვედრაში გამარჯვებული მოსწავლე თამთა თინაშვილი.

ინტელექტუალური თამაში ცეკვა „ქართულით" გაიხსნეს ანსამბლ „შირაქის" (ქორეოგრაფი ალექსანდრე გაბრიელაშვილი) მოცეკვავეებმა ანი ცალახესაშვილმა და გურამ გოგილაშვილმა. ამავე ანსამბლის შესრულებით გვიჩვენეს ცეკვა „ყაზბეგური". ინტელექტუალ მოთამაშეებს ამხნევებდნენ მათი გულშემატკივარი სკოლის მოსწავლეები, რაც ტურებს შორის მათ მოერ სიმღერის შესრულებაში და ლექსების წარმოთქმაში გამოიხატებოდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლამდელი და სკოლისგერეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი, გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ხელმძღვანელი თამარ თამაზაშვილი, ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტები ნანული ნატროშვილი და ია ბუნტური.

რადგანაც ფინალური შეხვედრა წინასაახალწლო დღეებს დაემთხვა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი დირექტორმა ისარგებლა შემთხვევიტ და მიულოცა რაიონის ყველა მოსწავლეს დამდეგი ახალი წელი, სიკეთე და წინსვლა უსურვა ყოველ მათგანს სასწავლო შემოქმედებით საქმიანობაში და ამასთან გასული სასწავლო წელიც შეაფასა. —„გასული სასწავლო წელი მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისთვის შემოქმედებითად დახუნძლული გახლდათ. მოვაწყეთ ზონალური ინტელექუალური ტურები, რამაც მოსწავლეებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენს მიერ ინიცირებულ ყველა ღონისძიებაში. გარდა ამისა ჩვენს სერვისცენტრში უამრავი სასიკეთო სიახლეც დაინერგა, გავხსენით ხელსაქმის შემსწავლელი ჯგუფი, მოსწავლეები, ვისაც სურვილი აქვს ხელსაქმის და თექაზე მუშაობის პრინციპებს, რასაც ჩვენი თანამშრომელი ლია ნატროშვილი, ახორციელებს, ასევე გვაქვს ინგლისურის და მათემატიკის წრეები, რაც შეეხება კომპიუტერების პროგრამების შესწავლას, თუ აქამდე იყო ფასიანი ჯგუფები, ამჯერად უფასოდ შეუძლიათ მოსწავლეებს კომპიუტერის ათვისება. მომავალ წელსაც უამრავ სიახლეებს ვგეგმავთ. კიდევ ერთხელ ვულოცავ თითოეულ მოსწავლეს დამდეგ 2014 წლის შემობრძანებას, ყოფილიყოს ეს წელი მათთვის კიდევ უფრო შემეცნებითი, ნაყოფიერი და წარჩინებული!"-აღნიშნა ჩვენთან საუბარში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ირმა ბენაშვილმა.

ლალი მეხრიშვილი

2013 წლის მოვლენები

2013 წლის მთავარ მოვლენად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს საპრეზიდენტო არჩევნები, რომელმაც ყოველგვარი დაშინებისა და თავისუფალი საარჩევნო გარემოს პირობებში ჩაიარა და ამით ერთგვაროვნად დემოკრატიული ღირებულებების ერთგულება დააფიქსირა ახლადარჩეულმა ხელისუფლებამ. 2012 წელს პირველად საქართველოს ისტორიაში დაიწყო ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლისათვის მზადება, 2013 წელს კი, ასევე პირველად ქვეყნის ისტორიაში, ჩატარდა მშვიდი, კონსტრუქციული არჩევნები, რომლის შედეგი ყველამ აღიარა - უპირველესად, დამარცხებულებმა და საზოგადოებამ. სწორედ ეს იყო დიდი ნაბიჯი დასავლეთისკენ და იმისკენ, რომ სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსოს, საზოგადოება კი - საზოგადოებას. სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, ამ ყველაფრის კონსტრუქტორი ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც წლის ბოლოს სიტყვა შეასრულა და პოლიტიკიდან წავიდა. მას წლის პოლიტიკოსის სტატუსს ვერავინ შეეცილება. იმედია, არც 2014 წელს და არც მომდევნო წლებში საქართველოში არ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება გახდეს საჭირო. მოდი, გადავავლოთ თვალი 2013 წელს და გავიხსენოთ, რაზე ამახვილებდნენ ექსპერტები ყურადღებას.

კახი კახიშვილი: "ივანიშვილის ღია წერილის "პოსტ კრიპტუმის" წაკითხვის შემდეგ გამახსენდა ცნობილი გამონათქვამი VENI, VIDI, VICI - "მოვედი, ვნახე, ვძლიეო. მართლაც, ივანიშვილი მოვიდა პოლიტიკაში, დაამარცხა "ნაციონალური მოძრაობა", წავიდა და დაგვიტოვა მთავრობა.

ისე, სიმართლე გითხრათ, ვფიქრობდი, რომ ივანიშვილი უფრო მეტად დაალაგებდა შიდაპოლიტიკურ პროცესებს და მერე წავიდოდა. რაც შეეხება მის გადანაცვლებას სამოქალაქო სექტორში, ივანიშვილის ავტორიტეტსა და სიტყვას საქართველოში მომავალშიც დიდი დატვირთვა ექნება. მთავარია, მან არ გამორთოს ტელევიზორი და იკითხოს პრესა.

მახსენდება მისი ერთ-ერთი განცხადება, რომ 2003 წელს, მას შემდეგ, რაც დაეხმარა "ნაციონალურ მოძრაობას" ხელისუფლებაში მოსვლაში, გათიშა ტელევიზორი და არ ადევნებდა თვალს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. მთავარია, ახლაც იგივე შეცდომა არ გაიმეოროს, რათა შემდეგ ტელევიზორის ჩართვამ კრიტიკულ მომენტში არ მოუწიოს. ივანიშვილმა არ უნდა დაკარგოს კონტაქტი საზოგადოების წევრებთან და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ იმ პირებისგან არ უნდა მიიღოს, რომლებიც ხელისუფლებაში მან მოიყვანა. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ რჩევები მისცეს თავის გუნდს და იმ ადამიანს, რომელიც პრემიერ-მინისტრად დატოვა. წარმოუდგენელია, რომ მარგველაშვილს, ღარიბაშვილსა და უსუფაშვილს პირველ ეტაპზე მაინც მნიშვნელოვან საკითხებზე ივანიშვილთან კონსულტაციები არ ექნებათ.

თუმცა კონსულტაციები კონსულტაციებად უნდა იყოს აღქმული და არა დირექტივებად. ის, რომ ივანიშვილმა შეძლო და "ნაცმოძრაობა" გაისტუმრა ხელისუფლებიდან, უკვე პრევენციული მაგალითია ამ ხელისუფლებისთვისაც. თუ პრეზიდენტი და მთავრობა არასწორად წარმართავენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ივანიშვილის კრიტიკას შესაძლოა მათთვის მძიმე შედეგი მოჰყვეს. რაც შეეხება რჩევა-დირექტივებს, პირველ ეტაპზე, ალბათ, ივანიშვილის თითოეული სიტყვა აღქმული იქნება როგორც დირექტივა, მაგრამ ყველაფერი თანდათან დაბალანსდება.

საერთოდ კი, ივანიშვილს არც შევარდნაძისა და არც სააკაშვილის მთავრობისთვის მიუცია ოდესმე ცუდი რჩევა. თუ დაინახავს, რომ ქვეყანა სწორად არ ვითარდება, ხელისუფლებას მისცემს რჩევებს და ამის საფუძველზე სათანადო გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული. რა არის ამაში ცუდი?"

"ნაციონალები" "ნიურნბერგის პროცესის" მსგავს სასამართლოს ვერ ასცდებიან"

სანდრო თვალჭრელიძე: "ძალიან დიდი განსხვავებაა, რაც ხდებოდა "ნაციონალების" მმართველობისას და რაც ხდება დღეს. განსხვავება ის არის, რომ დღეს გადაცდომებს საზოგადოებას არ უმალავენ და მის გამოძიებას იწყებენ.

დღეს ზეწოლას შენდობა არა აქვს. "ნაციონალების" დროს სისტემურად იყო დამკვიდრებული წამება და გაუპატიურება, რაც დღეს ნამდვილად არ ხდება.

დიდი ხანია ველოდები, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ნანგრევებზე სხვა პარტია ჩამოყალიბდება. მათი მოსაზრებები ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ არიან "ნაციონალებში" პირები, რომლებსაც სისხლში არ გაუსვრიათ ხელები. მაგალითად, მაინტერესებს, რატომ უნდა ჩაჰყვეს დავით ბაქრაძე ჩაძირულ გემს?! დარწმუნებული ვარ, "ნაციონალები" "ნიურნბერგის პროცესის" მსგავს სასამართლოს ვერ ასცდებიან. მაგრამ რატომ უნდა აგონ პასუხი იმ პირებმაც, რომლებსაც დანაშაული არ ჩაუდენიათ?!"ალ-ქაიდასა" და "თალიბანს" საქართველოშიც აქვთ დასაყრდენი"

ბადრი ნაჭყებია: "კავკასიაში რომ "თალიბანს" დასაყრდენი ჰყავს, ცხადია. საკმარისია, შევიდეთ "კავკასიის იმარათის" საიტზე და ვნახავთ, როგორ ასხამენ ხოტბას იმ ტერორისტებს, რომლებიც ავღანეთში კოალიციის ძალებს ანადგურებენ, ნებისმიერ ტერაქტს საღვთო ომად აღიარებენ და მათთვის ქართველსა და ამერიკელს შორის განსხვავება არ არის.

"ალ-ქაიდას", "თალიბანსა" და საზოგადოდ, რადიკალურ ისლამს საქართველოშიც აქვთ დასაყრდენი. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და თვალი არ უნდა დავხუჭოთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში მუსლიმანური მოსახლეობაცაა, რომელთანაც "მუშაობენ" რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების წევრები. პარალელს არ ვავლებ, უბრალოდ, ინფორმაციისთვის ვამბობ.

საქართველოში, ძირითადად, სუნიტები ცხოვრობენ, "თალიბანი" კი სწორედ სუნიტურ მოძრაობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა. გარდა ამისა, საქართველო აღმოსავლელი ემიგრანტების თავშესაფარი გახდა. აქ ბევრი ემიგრანტი ცხოვრობს სირიიდან, პაკისტანიდან და ინდოეთიდან, სადაც "თალიბანს" ღრმა ფესვები აქვს. არ არის გამორიცხული, ვიღაცამ ეს სეგმენტიც გამოიყენოს".

"შესაძლოა, გამწარებულმა ხალხმა თავად მოინდომოს სამართლიანობის აღდგენა"

მამუკა არეშიძე: "მაშინ, როდესაც "ქართული ოცნების" კონკრეტული წარმომადგენელი "ნაციონალური მოძრაობის" კონკრეტული წარმომადგენლის ფარი კი არა, მეწილეა, სამართლიანობის აღდგენა აღარ გამოვა. რასაკვირველია, განსაზღვრული კატეგორიის ქონების მფლობელისთვის დაბრუნება ბიუჯეტს ტვირთად დააწვება, მაგრამ რა უშლის ხელს, რომ წართმეულის დიფერენცირება მოხდეს?! რა მძიმე ტვირთად დააწვება ბიუჯეტს ის მაღაზია ან მიწის ნაკვეთი, რომლებიც თავის დროზე "ნაციონალებმა" ერთ პირს წაართვეს და მეორეს აჩუქეს? სრულიად შესაძლებელია, გამწარებულმა ხალხმა თავად მოინდომოს სამართლიანობის აღდგენა. ვიცნობ კაცს, რომელიც დაიღალა ლოდინით და უკანონოდ ჩამორთმეული ავტომანქანა სპეცსადგომიდან თვითნებურად წამოიყვანა და ვერავინ ვერაფერი უთხრა. ხვალ ვიღაც წართმეულ მაღაზიაში შევა და ნელ-ნელა ამან შესაძლოა, მასობრივი ხასიათი მიიღოს. საქართველოს მოსახლეობის 25% სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, პროკურატურასთან აპელირების რეჟიმი ერთ მშვენიერ დღეს დასრულდება და კატეგორიულ ქმედებებზე გადავლენ. ხალხს სამართლიანობის აღდგენის იმედი უნდა დაუბრუნდეს".

"დღეს პროკურატურას საკადრო ქირურგია სჭირდება"

სოსო ცისკარიშვილი: "ყველაზე დიდი ინფორმაცია ლაშა ნაცვლიშვილის ავკაცობაზე იმ ბიზნესმენების ადვოკატებს აქვთ, რომლებიც სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, ახალი უსამართლობის მორევში აღმოჩნდნენ. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, რათა საგამოძიებო პროცედურებს, თუკი დაიწყება, ხელი არ შევუშალო. ერთ დეტალს მოვიყვან: ლაშა ნაცვლიშვილი საზღვარგარეთ წავიდა ერთ-ერთი პირის დასაკითხად და შემდეგ მოვლენები უცნაურად განვითარდა. შეჩერდა სკანდალური საქმეების გამოძიება. ასევე, ნაცვლიშვილმა დანერგა პრაქტიკა - იმ საქმეების გამოძიება, რომლებიც ამხელდნენ მისი კოლეგების დანაშაულებს, შეჩერდა. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი საქმეების გამოძიება ახალმა მთავარმა პროკურორმა დაიწყოს. ამასთან, ჩვენ მოწმენი ვართ, რომ განვლილ წელს პროკურატურა იმავე კადრების იმედად იყო, რომლებიც თავის დროზე საქართველოში უსამართლობას ამკვიდრებდნენ. პროკურორები უფრო მეტ დანაშაულს სჩადიოდნენ, ვიდრე მათ მიერვე ბრალდებული პირები. თუ რომელიმე პირი კბილაშვილის დანიშნული იყო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის უცოდველია. საკადრო შეცდომა შეიძლება ყველამ დაუშვას. ცხადია, დღეს პროკურატურას საკადრო ქირურგია სჭირდება, რადგან თერაპია აღარ მოქმედებს".

"არ მინდა ვიფიქრო, რომ ქვეყნის დაშლის მიზანმიმართულ პროცესთან გვაქვს საქმე"

არჩილ გამზარდია: "მარტივად ავხსნი თვითმმართველობის კოდექსის მთავარ საფრთხეს: კოდექსის მიხედვით, შემოდის რეგიონული დაყოფა. რეგიონებში განსაკუთრებული უფლებები ენიჭება ავტოქთონურ მოსახლეობას. მაგალითად, შეიქმნება ჯავახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოსა თუ თუშეთის რეგიონები და ა.შ. სხვათა შორის, იმ რეგიონებში, სადაც აქვთ საკუთარი ენა, ბუნებრივია, მას მიანიჭებენ რეგიონული ენის სტატუსს. არ მინდა, ვინმე დავზაფრო, მაგრამ მაინცდამაინც ისეთი მდგომარეობა უნდა მივიღოთ, რომ მაგალითად, სვანეთის რეგიონში სვანური რეგიონული ენა იყოს, სამეგრელოში - მეგრული და ჯავახეთში კი სომხური?! შემდეგ ეს ყველაფერი ეთნიკურ ნიშანს მიიღებს და წარმოდგენაც ძნელია, რას მოგვიტანს. რესპუბლიკური პარტია კი ამტკიცებს, ამ გზით პერსპექტივაში აფხაზეთიც შეგვიძლია დავიბრუნოთო, მაგრამ შესაძლოა, პირიქით მოხდეს და საქართველო დაიშალოს. რეგიონის ან თვითმმართველობის სივრცეში სტატუსების მიცემა იმდენად საფრთხილო საკითხია, რომ მას ყოველმხრივ გააზრება სჭირდება. თვითმმართველობის კოდექსის პროექტზე არ უმუშავიათ ეთნოგრაფებსა და ეთნოლოგებს, რაც აუცილებელი იყო. არ მინდა ვიფიქრო, რომ ქვეყნის დაშლის მიზანმიმართულ პროცესთან გვაქვს საქმე".

"ურთიერთობა გამოსასწორებელია, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოკუპანტია"

კოტე ჟღენტი: "რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 20% და საქართველო არ აპირებს ამასთან შეგუებას. ახალ ხელისუფლებას არაერთხელ განუცხადებია, რომ ქვეყნის ევრო\ატლანტიკური ინტეგრაციის კურსი უცვლელია და ეს ასეც არის. შესაბამისად, არც თავის და არც ვინმეს მოტყუებაა საჭირო, თითქოს ქვეყანა საგარეო კურსს იცვლის. შეიძლება სტრატეგია იყოს იგივე, მაგრამ ამ სტრატეგიის მიღწევის ტაქტიკა - სხვადასხვაგვარი. სტრატეგიის ნაწილია ისიც, რომ მეზობელ რუსეთთან დღეს არსებული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ეს ვითარება გამოსასწორებელია, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ოკუპანტია. ამის მიუხედავად, თუ გვინდა ამ ტერიტორიების დეოკუპაციას მივაღწიოთ, ეს მხოლოდ რუსეთთან დიალოგით შეიძლება".

„ფრთხილად უნდა ვიყოთ!"

ირაკლი მენაღარიშვილი: "ვილნიუსის სამიტი მეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის.

პრაქტიკულად, დღეს საქართველო ევროკავშირთან უფრო ინტენსიური და ახალი ფორმატით თანამშრომლობის რეჟიმში გადავიდა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ უსაფრთხოების კუთხით. ხაზს გავუსვამ იმას, რომ პარაფირება ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან ჩვენი ქვეყნისთვის იხსნება ევროპული ბაზარი - წინსვლა ბევრ სფეროშია საჭირო. მთავარია, ვიზების ლიბერალიზაციის პროცესი მიმდინარეობს და მჯერა, უვიზო რეჟიმი არ არის მრავალი წლის პერსპექტივა. სხვათა შორის, უვიზო რეჟიმი უკვე შესთავაზეს მოლდავეთს, რაც მნიშვნელოვანი სიგნალია საქართველოსა და უკრაინისთვისაც.

პირდაპირ გეტყვით - რუსეთი საქართველოში ასეთი პოლიტიკის განხორციელებას შეეცდება და ზეწოლისთვის გამოიყენებს ყველა საშუალებას - ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ბერკეტებს, მათ შორის ქვეყნის შიდაპოლიტიკურ პროცესებში ჩარევის ჩათვლით. ამას საქართველომ უნდა დაუპირისპიროს მტკიცე ნებისყოფა, ცივი გონება, მაგარი ნერვები და კეთილგონიერება საგარეო პოლიტიკური ნაბიჯებითა და რეაქციით. ეს არის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლითაც საქართველო წინ აღუდგება ჩვენი ინტერესების საზიანო ნაბიჯებს. ფხიზლად უნდა ვიყოთ!

საქართველოს უნდა ჰქონდეს ევროკავშირის დახმარების იმედი და ამაზე კამათი არც შეიძლება. თუმცა მთავარია, რომ გამოწვევების გასამკლავებლად ჩვენი პოლიტიკა კეთილგონივრულად დაიგეგმოს და განხორციელდეს. ასევე, მთავარია, მხოლოდ სხვის იმედად არ ვიყოთ და საფრთხეებს ერთიანობა და სიმშვიდე დავუპირისპიროთ".

ჩარლზ ფეირბენქსი, მკვლევარი, აშშ სახელმწიფო მდივნის ყოფილი მრჩეველი: "არც ისე ადვილია, პოლიტიკური ძალაუფლების ოლიმპზე მოხვედრა და მერე შენივე ნებით დათმობა. ივანიშვილმა კარგი მაგალითი დაუტოვა პოლიტიკურ მემკვიდრეებს".

წლის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად იქცა ვილნიუსის სამიტი და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, ეს უკანასკნელი კი წლის მთავარ სიტყვად, რომლის მნიშვნელობაზეც საზოგადოების ფართო ფენებში აქტიურად საუბრობდნენ.მაშ, ასე, ამ სიტყვის მნიშვნელობას ლექსიკონში ასეთი განმარტება აქვს:"საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურად ხელმოწერამდე, მისი ტექსტის ავთენტიკურობის დადასტურება, ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ინიციალებით, რომელიც მოწმობს, რომ მოცემული ტექსტი წარმოადგენს ხელშეკრულების საბოლოო შეთანხმებულ ვარიანტს."

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ჩვენო მკითხველო, იმედია, 2014 წელი მეტად ნაყოფიერი იქნება!

მონატრება

თამარ ფხოველიშვილი

1965 წლის 11 დეკემბერს ქალაქ წითელწყაროში, ერთ-ერთ ოჯახში ნანატრი გოგო დაიბადა. მარო ქადაგიძესა და ვასილ ფხოველიშვილს ორი ვაჟიშვილის შემდეგ დამტირებელი გაუჩნდათ, მაგრამ ვაი, რომ პირიქით მოხდა.

დაიბადა თეთრი, ფითქინა, ლამაზი ასული-თამარ ფხოველიშვილი, რომელმაც ისე იცხოვრა, თვალში რომ ჩაგვარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდით.

1989 წლის 1სექტემბერს, უკვე მასწავლებელმა, სრულიად ახალგაზრდამ, გაზაფხულივით შემოანათა მშობლიურ სკოლაში და მას შემდეგ უდრტვინველად გასწია პედაგოგის მძიმე ჭაპანი. მუშაობის დაწყების დღიდან სახელი გაითქვა თავისი პროფესიონალიზმით. შეიყვარა ბავშვი და მისი გულის მესაიდუმლე გახდა. განათლება და მოსწავლე!-აი, თამრიკოს ღმერთთან შეთანხმებული ურთულესი საქმის მთავარი საიდუმლო! უფალმა დაჯილდოვა უამრავი საუკეთესო თვისებით, აღსაზრდელებისათვის თავად იყო პირადი მაგალითი.

გადიოდა წლები... შრომასა და გარჯაში ატარებდა თამრიკო დროს, ჭკვიანი და გონიერი მოძღვარი ღირსეულად იხარჯებოდა ღირსეულ საქმეში.

მაგრამ, "ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვინმეს განა?!" 2012 წლის 26 დეკემბერს, ოთხშაბათს, დილით თავზარი დაეცა რაიონს. უმალ, ელვის სისწრაფით გავრცელდა შემზარავი ამბავი, თამრიკო აღარ არისო, უფრო სწორედ, ჩვენო მონატრებულო მეგობარო, მეხის ნატეხად იქეცი, ღრუბლებს მოსწყდი და ჩვენს ჩასაფერფლად ჩამოვარდი!

მიილია ერთი წელი, ველარ დატკბი სურნელოვანი გაზაფხულით, თაკარა მზით გამთბარი ზაფხულის არდადეგებით ველარ ისარგებლე, ბარაქიანი შემოდგომაც შენ გარეშე მიბინავდა, თეთრ სამოსში გახვეული ქალაქიც უშენოდ სუნთქავს. ერთი სიტყვით, ცხოვრება გრძელდება, დრო მიდის, მაგრამ ჩვენს გულებში დაჩენილი ჭრილობა მოუშუშებელია, ჩემო თამრიკო, უკურნებელია მონატრება.

დღესაც თვალწინ გვიდგა შენი ღიმილიანი სახე, ჩაგვესმის შენი ალერსით სავსე სიტყვები, გვეჩვენება, თითქოს დგახარ სამასწავლებლოში ფანჯარასთან, შენთვის დამახასიათებელი სიცილიოთ გველაპარაკები... ისევ ჩაფლუხარ რვეულებში და მათემათიკის ცოდნას უმოწმებ ბავშვებს... პედსაბჭოზე უკანა მერხზე მოკალათებულხარ და ხანდახან საკუთარ აზრს აფიქსირებ ამა თუ იმ საკითხთან დკავშირებით, დაფასთანაც გხედავთ, ცარცით ხელში , პითაგორას თეორემას ამტკიცებ...არც შენი მორიგეობა გვავიწყდება, გამოსვლის ზარს რეკავ და აურიამულებული გოგო-ბიჭების სიხარულით ხარობ...მერე? მერე ეხვევი წავის ქურქებში და გვემშვიდობები.

25დეკემბერსაც ასე დაგვემშვიდობე, ოღონდ საბოლოოდ... წახვედი და სამუდამოდ გაიხურე სკოლის კარი, უკანასკნელად აიარე შენი სახლისკენ მიმავალი აღმართი...

ძალიან ცოტა იკმარე კარგო მეუღლევ და მზრუნველო დედავ, მოხუცი მშობლების დიდო იმედო და ერთგულო მეგობარო, ფხოველიშვილების სიკეთით აელვარებულო ქალიშვილო და პაპუაშვილების საყვარელო პატარძალო, თავმდაბალო მოქალაქევ და ღვთისნიერო ქალბატონო- დიდხანს შემოინახავს შენს სახელს შენი მშობლიური დედოფლისწყარო.შენი დაზრდილნი მომავალს მოუყვებიან, იყო პირველ სკოლაში მათემატიკის ბრწყინვალე მასწავლებელი და დავიწყების ბურუსი ვერ დაგფარავს, ბინდი ვერას დაგაკლებს. უყვარდი ყველას-ეს ხომ უდიდესი საზღაურია!

მზის სისტემისკენ ნაადრევად წასულო ქალო, გვწამს, სამოთხეში დაიდებდი ბინას და გვჯერა, რომ შენი სული, ახალ, "იმქვეყნიურ"

ცხოვრებას შეჭიდებული, უკვდავების გვირგვინითაა გაბრწყინებული! უკვდავების, რადგან სიკვდილი ყოველთვის დასასრულს არ ნიშნავს! არა და არა!

მაყვალა პაპუაშვილი-
დედოფლისწყაროს პირველი საჯარო
სკოლის სახელით

ზაზა ტოკლიკიშვილი

26 დეკემბერს უკვე მეხუთედ ვხვდებით უშენოდ, ზაზა! 37 წლის ასაკში გამოგვეცალე და მარადიული სასუფეველი ნაადრევად არჩიე. ამბობენ, უფალს თავისთან საუკეთესოები მიჰყავსო. შენც, ალბათ იმ საუკეთესოთა რიცხვს მიეკუთვნებოდი, რადგან უფალმა აგირჩია და თავისთან წაგიყვანა. ოთხი წელი გავიდა და მეხუთედ მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ.დრო მკურნალიაო, მაგრამ შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი თანდათან გაუსაძლისი ხდება, ძალიან გვენატრები, გვიჭირს უშენობა და შენს გარეშე ცხოვრება მოსაწყენი გახდა. თბილი, კეთილი და კაცთმოყვარე,ყველას მიმართ სიყვარულით ანთებული, ბავშვივით გულწრფელი და ალალი იყავი, დაბადების დღეც ბავშვივით გიხაროდა. უზომოდ ენატრები შენს მშობლებს, დებს, მეგობრებს, რომლებიც ყოველთვის მოდიან შენს საფლავზე და გინთებენ სანთლებს.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, ზაზა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

თამარ ტოკლიკიშვილი,
ლუკა და ამირან ქისტაურები.

ხსოვნა

გელა გიგაური

მონატრება დიდი ტკივილია გელა, მართალია შენი გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა 12 დეკემბერს, მაგრამ ამ დიდ მონატრებას ვერაფერი ავსებს; ისევ ჩამესმის ყურში შვილო, შენი ვაჟკაცური ნაბიჯების ხმა. დიდხანს მივაყურადებ, ვაიმე ჩემი გელა ხომ არ არის? მაგრამ, შენ სამწუხაროდ ჩვენგან ძალიან შორს ხარ.

როცა ჩემი შვილი დათო შემოდის სახლში, კიდევ ვიტოვებ სხვა მოლოდინს, ეს შენ ხარ. შენი სახლის კედლები შენს გაცინებაზე ზანზარებდა. სახლიც კი შენს დაკარგვას გლოვობს; მართალია ჩემი შვილიშვილები: ცისია, ანა, გიგა ამხიარულებენ შენგან ობლად დარჩენილ ჭერს, მაგრამ საშინლად იგრძნობა უშენობა ჩვენს სახლში.

გვენატრება შენი ღიმილი შვილო, შენი ვაჟკაცური ფაცი-ფუცი, შენი რძალი მაკა უდიდეს პატივს გცემდა, სულ იმას ტირის, ჩემი მაზლი გელა და ბავშვებს უნერგავს შენს დიდ სიყვარულს. პატარა გიგა ღიმილით გადღეგრძელებს და ამბობს: კიდევ მოვა ჩემი ბიძაო!

ენატრები შვილო შენს უბანს, საძმოს, სანათესაოს. 8 იანვარს 41 წელი შეგისრულდებოდა. შენს ლამაზ სავანეს მუდამ ამსვენებს მყუდრო გარემო, მოდიან ბიჭები და მუდამ გიხსენებენ შესანდობარით. ახლაც მოვალთ შვილო და მოგილოცავთ სიცოცხლედასრულებულ 41 წლისთავს. ილოცე ყველასთვის გელა. ყველას ხომ საშინელი მონატრება დაგვიტოვე.

გ-ული დამმიმდა ამდენი ფიქრით
ე-რთი სიცოცხლე აბა რად მი-
ღირს?!
ლ-ოცვით გიხსენებთ, უშენოდ
მიჭირს,
ა-სე ლოცვებში ისევ შენ გიცდით.

დამწუხრებული დედა
ციცო გიგაშვილი-მესტიაშვილი.

გამოსათხოვარი

ჟუჟუნა ჩალახეშაშვილი-ოზაშვილი

მონატრებაზე დიდი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამ ქვეყნად. ბედნიერია ის, ვისაც სიკვდილიც ვერ ერევა, ვის სიყვარულს ცივი მიწაც ვერ ანელებს, ვისი სულიც ზეციური სამყაროდან აშუქებს, ათბობს დედამიწაზე დარჩენილ ახლობლებს და უფრო მეტად გაგრძნობინებს, როგორები უნდა ვიყოთ, რომ არ დაგვივიწყონ. სწორედ ასეთი იყო ჩვენი კოლეგა, საოცრად თბილი, კომუნიკაბელური, მხნე, იმედიანი, მრავალი თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი-ჟუჟუნა ჩალახეშაშვილი. ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც ერთ დროს ჩვენს გვერდით იყო, იცინოდა, ხარობდა მოსწავლეთა წარმატებით.

ქალაქ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1961წელს ქალბატონმა ჟუჟუნა ჩალახეშაშვიილმა მუშაობა დაიწყო ოზაანის საშუალო სკოლაში და 2010 წლამდე ღირსეულად ასრულებდა იმ მეტად რთულ, საპასუხისმგებლო საქმეს, რასაც პედაგოგობა ჰქვია. მან შეასწავლა მრავალ თაობას მშობლიური ანბანი. სწორედ თავდადებული შრომის შედეგია ის დიდი ავტორიტეტი და სიყვარული, რომლითაც ჟუჟუნა მასწავლებელი სარგებლობდა არა მარტო კოლეგებში, არამედ მოსწავლეებში, მშობლებსა და სოფელში.

ის იყო მაგალითი ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის, მაგალითი პროფესიონალიზმის, მოქალაქეობის, საქმისადმი ერთგულებისა და თავდადებისა. იყო საუკეთესო დედა, მზრუნველი ბებია, ერთგული მეგობარი და კოლეგა.

ჩვენო ჟუჟუნა მასწავლებელო, იძინეთ ტკბილად, გწამდეთ სიკვდილი ვერაფერს დააკლებს იმ სახელსა და სიყვარულს, რაც თქვენ დაგვიტოვეთ. უფალს ვთხოვთ, თქვენს თბილსა და ლამაზ სულს არ მოაკლოს ნეტარება, ჩვენგან დანთებული სანთლები კი გაგინათებთ გზას მარადისობისაკენ.

ოზაანის საჯარო
სკოლის პედკოლექტივი

მონატრება

ლუიზა ჩუბლაშვილი-ყოჩიაშვილი

ჩვენო საყვარელო დედა! 29 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. წელს მეხუთედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ, ტკივილით, ცრემლებით აღსავსენი. შევდივართ ტაძარში და წარსული დღეების მოსაგონებლად გინთებთ წმინდა სანთლებს. თითქოს ახლაც ყურში ჩაგვესმის შენი სიტყვები: "გენაცვალოთ დედა! ხომ არაფერი გტკივათ, ხომ არაფერი განუხებთ". ძალიან გვაწუხებს და ძალიან გვტკივა უშენობა. მძიმე ავადმყოფი, სარეცელს მიჯაჭვულიც ცდილობდი ჩვენს მოფერებას, არ იმჩნევდი გაუსაძლის ტკივილებს, ოჯახის წევრები არ შევაწუხოო. უშენობას ძალიან განიცდის მამაც, რომელიც გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი გახდა.

ძალიან გვაკლიხარ ჩვენო ლამაზო, კარგო, კეთილო, მოსიყვარულე დედავ. ყოველი დღე გვტკივა უშენოდ, ყველაზე მწარე კი ის არის, რომ ვიცით, განუკურნებელია ეს ტკივილი. შენ ხომ აღარასოდეს შემოაღებ კარს და გაგვახარებ შენი მოსვლით. გვენატრები სულით მდიდარო, სიკეთით და სიყვარულით სავსევ.

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. არ მოგაკლებთ ხსენებას, სათელს და ლოცვას. ჩვენი დანთებული სანთლები გინათებდეს სასუფეველს.

შენი შვილები: დიმიტრი
და ნონა ყოჩიაშვილები.

ნელი სულაშვილი, ომარი, გიორგი, მარიამი ალადაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
ზაურ ნიკოლოზის ძე სულაშვილის და ვიქტორ იოსების ძე სულაშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მათ ოჯახებს.

მუნიციპალური საბიბლიოთეკო გაერთიანება სამძიმარს ვუცხადებთ თინიკო ელაშვილს დეიდაშვილის
თამრიკოს და დეიდაშვილისშვილის ნინოს
გარდაცვალების გამო.

თარაშვილი მერი, ნატროშვილი ნანული, შალვაშვილი სვეტა, ღარიბაშვილი ეთერი, ხუციშვილი ციური, ნანობაშვილი ქეთინო, დარჩიაშვილი ციცო სამძიმარს უცხადებენ ნანა შანშიაშვილს დის
გულო შანშიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის XII-ბ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ლალი აბაშიძე და მოსწავლეთა მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ მზიკო ბენაშვილს ბებიის
მზია ნატროშვილის
გარდაცვალების გამო.

როგორი იქნება 2014 წელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის?

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, მალე 2014 წელი დადგება. სჯერა თუ არა, ყველა ცდილობს, ახალ წელს ისე შეხვდეს, როგორც ასტროლოგები გვირჩევენ ხოლმე. იმის გასარკვევად, როგორი იქნება 2014 წელი და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მთელი წელი წარმატებული იყოს, ასტროლოგ **დავით ბუტიკაშვილს** მივმართეთ.

- დგება ლურჯი ცხენის წელიწადი. ჩინელები 2014 წელს ხის ლურჯი ცხენის წელიწადს ეძახიან. შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში დომინანტი ფერი ლურჯი იქნება. წლის პირველ ნახევარში, 17 ივლისამდე ადამიანებისთვის წარმატების გარანტი ის გახდება, რამდენად შეძლებენ იმ გარემოებებთან შეგუებას, რასაც მათ ცხოვრება შესთავაზებს. მომავალი წელი იყოფა ორ ნაწილად, რადგან 17 ივლისს წლის მმართველი პლანეტა იუპიტერი იცვლის პოზიციას. ამ თარიღის მერე, წლის მეორე ნახევარი, ადამიანებმა მხიარულად უნდა გაატარონ. ეს პერიოდი წარმატებული იქნება ოპტიმისტი ადამიანებისთვის, ამიტომ პესიმისტებს ვურჩევ, ვექტორი შეცვალონ და რაც უფრო მეტად იქნებიან ორიენტირებული ცხოვრებიდან სიამოვნების მიღებაზე, მით უკეთესად გან-ვითარდება მათი ცხოვრება.

ცხენის წელი ადამიანებისგან რაც შეიძლება დიდ დინამიკას მოითხოვს. ის, ვინც მარტოობისკენ არის მიდრეკილი, მომავალ წელს ისე გაატარებს, რომ სასიკეთოს ვერაფერს მიიღებს. ვინც ცვლილებას ეძებს და უყვარს, მისთვის წარმატებული წელი იქნება.

საქართველოსთვის 2014 ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი წელიწადი იქნება. 17 ივლისის მერე ექსპანსიის მმართველი პლანეტა იუპიტერი შედის საქართველოს მმართველ პლანეტა ლომში, ამიტომ ამ პერიოდში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში, რადიკალური კუთხით. საგარეო პოლიტიკა იმდენად კარგად დაბალანსდება, რომ ყველა კმაყოფილი იქნება და საზოგადოებაში მეტი ოპტიმიზმი გაჩნდება. წლის პირველი ნახევარი საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოგვარებისთვისაა განკუთვნილი. სახელმწიფოსთვის კარგი პერიოდი წლის მეორე ნახევარში დადგება.

- როგორი იქნება ცხენის წელი სხვა წლებში დაბადებული ადამიანებისთვის?

- ვირთხის წელს დაბადებული ადამიანებისთვის ცხენის წელი წარმატებულია. მომდევნო წელი მათ საშუალებას მისცემს, არაფერზე ინერვიულონ და არ იდარდონ. ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. პრობლემური და სადავო საკითხები, რომლებიც მანამდე აწუხებდათ, მომავალ წელს ისე ადვილად მოგვარდება, რომ გაუკვირდებათ.

ხარის წელს დაბადებულ ადამიანებს ცხენის წელი არ მისცემს დასვენების საშუალებას. სულ დინამიკურ მდგომარეობაში უნდა იყვნენ, გაჩერება არ შეიძლება. როგორც კი ხარი ჩათვლის, რომ მის ცხოვრებაში ყველაფერი აეწყო და გაჩერდება, რასაც მანამდე მიაღწია, ნგრევას დაიწყებს, ამიტომ ხარის წელს დაბადებული ადამიანი მუდამ დინამიკაში უნდა იყოს.

ვეფხვის წელს დაბადებული ადამიანებისთვის მთავარია, მიაგნონ და აღმო-აჩინონ სწორი საყრდენი. დამოუკიდებლად ვეფხვს რაიმეს შექმნა გაუჭირდება. თუ საყრდენს იპოვის, მომდევნო წელი მისთვის წარმატებული იქნება.

კატის წელს დაბადებული ადამიანი მთელი წელი იქნება მშვიდად. სიმშვიდე და მუდმივი მცდელობა, მოაგვაროს პირადი პრობლემები, ამ წელს წარმატებას მოუტანს. რაც მეტს იფიქრებს საკუთარ თავზე, მით წარმატებული იქნება.

დრაკონის წელს დაბადებულებისთვის ტრიუმფალური წელი იქნება. ცხენი და დრაკონი კარგი წყვილია. თუ დრაკონს აქამდე რაიმე პრობლემების დაძლევა უხდებოდა, მათ შორის დრაკონის წელსაც კი, ცხენი ამ პრობლემების სწრაფად დაძლევის საშუალებას მისცემს.

გველის წელს დაბადებულებს შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთი ინტელექტუალური უპირატესობა წარმოაჩინონ ყველა დონეზე და საკუთარი გონებისა და სიბრძნის წყალობით გაიმარჯვონ ყველგან.

ცხენის წელს დაბადებულებისთვის საუკეთესო წელია. მათ ხელი მოემართებათ თავიანთი საუკეთესო თვისებების წარმოჩენაში. გარეგნობიდან დაწყებული საქმიანობით დამთავრებული ყოველთვის ყურადღების ცენტრში იქნებიან. ცხენის წელში დაბადებული მსახიობები ძალიან ბევრ როლს მიიღებენ, პოლიტიკოსები კი პოპულარულები გახდებიან.

თხის წელს დაბადებულებს განსხვავებულ სფეროებში მოუწევთ აქტიურობა. თვითონაც გაუკვირდებათ, ცხოვრება იმდენ ადგილას გადააგდებს, მაგრამ საბოლოო ჯამში, წლის ბოლოს ყველაფერს თავს მოუყრიან და საუკეთესო შედეგს მიიღებენ.

მაიმუნის წელში დაბადებულებისთვის სიამოვნებისა და გართობის წელი იქნება. მათ თავიდან ბოლომდე გაუმართლებთ. მათ მაიმუნობას ყურადღებას მიაქცევენ და აქედან სიამოვნებას მიიღებენ.

მამლის წელს დაბადებული ადამიანები თუ ოჯახს შექმნიან, წარმატებას მიაღწევენ. ოჯახი ვისაც აქვს, ისინი ბედნიერები იქნებიან. მომავალ 2014 წელს მამლები ადვილად მიაღწევენ წარმატებას სადავო იურიდიულ საკითხებში. მამალს თავისუფლად შეუძლია, ჩაერთოს ნებისმიერ დავაში და დარწმუნებული იყოს, რომ ამ დავას აუცილებლად მოიგებს.

წლის დასაწყისში ძაღლის წელში დაბადებული ადამიანი შეიძლება, სიძნელეებმა შეაშინოს. გაბრაზდეს და გადაწყვიტოს, თავიდან შტურმით მიუდგეს სიძნელეებს, რაც მომავალ წელს აუცილებლად ექნება, თუმცა მას ასე მოქცევას არ ვურჩევ, რადგან ბევრ ენერგიას დაკარგავს და საბოლოო ჯამში სიძნელეებს ვერ დაძლევს. ძაღლმა ცხენის წელიწადი კარგად რომ გაიაროს, უნდა ეცადოს, სიძნელეები შემოვლითი გზით გადალახოს. შესაძლოა, ამას მეტი დრო დასჭირდეს, მაგრამ ეს გზა გაცილებით გაამართლებს.

ღორის წელს დაბადებული ადამიანისთვის მომდევნო წელი უხვი იქნება. შეიძენს ავტომობილს, ბინას და ა.შ. უხეშად რომ ვთქვათ, გაძღება. ღორის წელს დაბადებული ადამიანი 2014 წლის ბოლოს იტყვის, რა ოცნებებიც მქონდა, ყველა ამისრულდაო.

მერი კოზიაშვილი

ჟურნალი „რეიტინგი“

ულოცავენ!

მარინა ყორანაშვილს, ტარიელ ღარიბაშვილს!

გილოცავთ შვილის, ირაკლის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნას, სულ წინსვლა ჰქონდეს ყოველგვარ საქმიანობაში. არა მარტო თქვენთვის არის საამაყო შვილი, არამედ მთელი ჩვენი რაიონისთვის. ტყუილად არ არის ნათქვამი, “ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა”.სწორედ თქვენს შემთხვევაში ასეა. ვინაიდან ცოლიც და ქმარიც იყავით დაფასებული თქვენს თანამშრომლებთან, გამოირჩეოდით სიყვარულის და სიკეთის კეტების ნიჭით.გილოცავთ წინასწარ დამდეგ შობა-ახალ წელს.

ციცინო გონაშვილი

ოლიკო ლეკაშვილს!

ჩვენო საყვარელო ოლიკო, გილოცავთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აკადემიური დოქტორის წოდებას.

გისურვებთ დიდ სიხარულსა და ბედნიერებას შენს საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. სულ წარმატებით გევლოს ცხოვრების გზაზე. გფარავდეთ უფალი.

დედა - გულიკო ბაძგარაძე-ლეკაშვილი,
და-ნინო ლეკაშვილი.

ბარბარე ჩიტიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯამრთელობას, ბედნიერებას. გაზრდილიყავი პაპა-ბებიების სასახელო გოგო, რომ ეამაყოთ შენით.

ღმერთის მფარველობა ნუ მოგკლებოდეს!

პაპა და ბებია- ვალიკო და მერი ჩიტიშვილები.

ტარიელ ღარიბაშვილს, ირაკლი შიოლაშვილს, მიხეილ ბახუტაშვილს!

გილოცავთ დამდეგ 2014წელს! ბედნიერების მომტანი იყოს ეს ახალი წელი თქვენი ოჯახებისთვის, შვილების და შვილიშვილებისთვის. მაღალმა ღმერთმა დაგაჯილდოვათ თქვენ მაღალადამიანური თვისებებით: კეთილშობილების, სხვისი პრობლემების გათავისებისა და ხალხის ტკივილის მოსმენის უნარით.

წინასაახალწლო დღეებში ჩვენ, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული სექტორის პირველი კლასის მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ჟანა ბაბაიანი კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ჩვენი შვილების ოცნებების ასრულებაში თქვენს მიერ შეტანილი წვლილის და თანადგომის გამო.

ბარაქა, სიხარული, სიყვარული თქვენ და მთლიან საქართველოს!

დიდი პატივისცემით
სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის რუსული სექტორის
პირველი კლასის მშობლები,**კლასის ხელმძღვანელი** ჟანა ბაბაიანი.

ცქურო იაკობიშვილს!

გილოცავთ საიუბილეო 80 წლისთავს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ყოფილიყავი სიცოცხლის ბოლომდე ასეთი ყოჩაღი და ენერგიული.

გისურვებთ ბედნიერებას შენს დიდ ოჯახთან ერთად, ღმერთი გფარავდეთ!

შენი კეთილისმსურველი მეზობლები.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 30.12		სამშაბათი 31.12		ოთხშაბათი 01.01		ხუთშაბათი 02.01		პარასკევი 03.01		შაბათი 04.01		კვირა 05.01	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	3 °	-3 °	4 °	-1 °	2 °	-5 °	-2 °	-4 °	-3 °	-4 °	-2 °	-3 °	-2 °	-3 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-ქენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქინქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K